REGION
ფასი 2 ლარი
№25 2018 აპრილი
ბიჭიკო ასკურავა - მკურნალი, მზის შვილი, გურული...
უვიზო მიმოსვლა შესაძლებლობების ფანჯარაა ევროპაში
პონტოს მუხა რელიქტური სახეობაა
გაცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე... ნოდარ დუმბაძე

ქართული და უცხოური ღვინების ბრმა დეგუსტაცია

პარხალის ეკლესია 2-3

ჯარდიონილი 4-5

ქართლის სამეფო - ჯავჯასიის ძლიერი სახელმწიფო 6-7

„შურსა და ცილზე ამაღლებული“ 7-8

სული მზიანეთი 8

სიყვარულის დესპანი ვარ“ 9-11

არიქა, გავიგოთ მეტი უვიზო მიმოსვლის შესახებ“ 12-13

იაპონელი სტუმრები წყალტუბოს მღვიმეში 14-15

თეიმურაზ ღლონტი - 80 16

შალვა ძნელაძე - უბადლო გრაფიკოსი 21-23

სიყვარული თავად არს ღმერთი 24-25

ბუნებისა და ადამიანის თანაარსებობა 26-28

ბახმარო 28

ჯავშნოსანი ეკიპაჟის საარაკო გმირობა 30-31

გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები 32-33

ფაქტი ჯიუტია!“ უცხოურმა ბრენდებმა გაიმარჯვა 33

ბიჭიკო ასკურავა - მეურნალი, მზის შვილი, გურული“ 34-35

გურული ანეკდოტები 36

პირველი ქართული ჟურნალი გურულებზე
Guria REGION

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლელა სურმავა
ტელ: 558 25 65 50
ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru; lelasurmava@mail.ru**

ძვირფასო მკითხველებო!

მოგვაწოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.

რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი, ხოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

პარხალის ეკლესია

ნუთუ ამ მკვიდრ ერს შეუძლო ასეთი გიგანტი აღაშენინო იშვა...

ექვთიმე თაყაიშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდამ შეისწავლა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში დაცული ისტორიული დოკუმენტები და ხუროთმოძღვრული ძეგლები. პირველმა იმოგზაურა ეგრეთ წოდებულ თურქეთის საქართველოში. ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყული ძველი მესხეთის მიწა-წყალი 1902, 1907 და 1917 წლებში შემოიარა, დაწვრილებით აღწერა საქართველოს მოწყვეტილი განუმეორებელი კულტურის ძეგლები, – ***ოშკი, ბინა, იშხანი, ხახული, ანჩი, ტბეთი, პარხული.***

პარხალის ხეობა და მისი შემოგარენი ზოგჯერ ვაკუფად მოიხსენიება, რადგან ბოლო წლებამდე ამ მხარის შემოსავლები ერზრუმის მეჩეთს ეძლეოდა. ამჟამად არმენ-ხევისა და კობაკის ხეობის მკვიდრნი ძალზე შერყვნილ ენაზე საუბრობენ, თუმცა მათ გვერდით სოფელ პარხალში ქართული არ იციან. თავისებურია ვაკუფის მცხოვრებთა ენა, განსაკუთრებული კილო აქვთ და ჩქარა საუბრობენ. რუსეთის საქართველოს არცერთი კუთხის მეტყველებას არ ჰგავს. ხალხი გონებრივად ნაკლებად განვითარებულია და პირველყოფილი პერიოდის თვისებებს ატარებს. კობაკის გვერდით პარხალის ხეობაში ხალხი უფრო განვითარებულია, რადგან ჭოროხში მცხოვრებლებთან ურთიერთობის დროს, ბუნების ხელშემშლელი პირობები ნაკლებია. კობაკის ხეობის სიგრძე 20 ვერსს აღემატება, ცხოვრობს 200 კომლი, რომლის დიდი ნაწილი ცალკე ჯგუფებადაა განლაგებული. საცხოვრებელი სახლები, ციკლოპების მსგავსად, მთლიანი ქვებით, უცემენტოდ არის აგებული და კლდე-ქარაფებზე არწივის ბუდესავითაა მიკრული. ყველა სახლს აქვს თავისი პატარა ჯეჯილი, ზოგჯერ სამი-ოთხი ნაბიჯის ფართის. ისინი მთის ფერდობს ქამარივით ერტყმის და გამაგრებულია ხელოვნურად აშენებული კედლებით, როგორც ჩანს, იშვიათი დასახლებული მხარეა. მარცვლოვანთაგან აქ თესავენ სიმინდს, უფრო ხშირად ბარდას, რომლისგან ძალზე ცუდი პური ცხვება. სოფელ კობაკის ქვემოთ გვხვდება ხილის ხეები, ხოლო ამავე სახელწოდების მდინარის შესართავთან ყურძნის ბაღები აქვთ გაშენებული.

სოფელი პარხალი ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირის ორივე მხარეს მდებარეობს, ზღვის დონიდან 4675 მ. სიმაღლეზე. სოფელში ორასზე მეტი კომლი ცხოვრობს, სახლები ერთ ხაზზე, ვიწრო ხეობაში ოთხი ვერსის სირძეზეა განლაგებული. აქ არის ცნობილი ეკლესიის ნანგრევები. სომეხი გეოგრაფი ინჯიჯიანი ამბობს, – ***პარხალი არის მარმარილოს სვეტებიანი ეკლესია, რომლის ქვეშ ინახება განძი და აქვს ქართული წარწერები, კოხი პარხალში არ ყოფილა, მაგრამ გადმოცემის თანახმად, აქაურ ეკლესიას ასახელებს.***

პარხალის ეკლესია

პარხალის ეკლესია თურქეთის საქართველოში არსებულ ეკლესიებზე ვრცელია, არ ჩამორჩება ტბეთის ეკლესიას, არ ჰგავს თურქეთში აშენებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ტაძრის გარეგანი სახე უფრო მეტად თეატრს მოგვაგონებს.

სამონასტრო კომპლექსი პარხალი მდებარეობს თურქეთში ართვინის ვილიაიეთში (ოლში), ისტორიულ პარხალში, დაბა იუსუფელის ჩრდილო-დასავლეთით 27 კმ-ში მდებარე ისტორიულ სოფელ პარხალთან, მდინარე ჭოროხის მარცხენა შენაკადის პარხლის წყლის ხეობაში.

პარხალი პარხალისწყლის ხეობაშია, სოფელ პარხალში, ლაზეთის ქედის აღმოსავლეთ კალთის ძირში, ამ მიდამოებში ოდესღაც კლდეში ნაკვეთი წყალსადენიც ყოფილა, რომელიც ტაძრის აგების შემდეგ თამარ მეფის ბრძანებით გაიყვანეს. თავად ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ასეთი დიდი ბაზილიკა საქართველოს ტერიტორიაზე არ არის შემორჩენილი...

ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზე X საუკუნეში დავით მესამე კურაპალატს აუგია, – პარხალის ეკლესია ააგო დავით III კურაპალატმა (აშენდა 973 წელზე ცოტა ადრე). ამ პერიოდში შატბერდის მონასტერში მოღვაწე იოანე ბერაიამ გადაწერა და პარხალს სახარება შესწირა, რომელიც ლიტერატურაში ***პარხლის ოთხთავის სახელითაა*** ცნობილი. პარხალში მოღვაწეებს შორის გამოირჩევა გაბრიელ პატარაᲲ პარხლის ოთხთავისა და პარხლის მრავალთავის გადამწერი, ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის გამოირჩევა სიდიდით, შესრულებულია მაღალი ხარისხის ეტრატზე, მკაფიო ნუსხურით, ყავისფერი მელნით, სამკაული ტექსტს თითქმის არ აქვს. პარხალში გადაიწერა ***„შუშანიკის წამება“ და „აბო თბილელის წამება“.*** უძველესი ნუსხა X საუკუნისა ოსმალთა მიერ (XVIIს.) დაპყრობის შემდეგ ბაზილიკა მეჩეთად გადააკეთეს.

ეკლესიის სამხრეთი კედლის მერვე კამარაზე ქართული დამწერლობის ხუცურ-მხედრული ასოებით შესრულებულ ქართულ წინადადებებში იკითხება ტერმინი ***ჩასდუდარაA***, ქართულ ლიტერატურაში არ არის ასეთი სიტყვა. ნიკო მარის მოსაზრებით, ***ჩასდუდარაA*** ლაზურია, კავკასიურ ენებში სიტყვები ***თავი, მთა და ცა*** ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ***კამარას*** ნიშნავს და საუკეთესო ნიმუშია პარხლის ეკლესიაზე არსებული ტერმინი ***ჩასდუდარაA***. ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება – ***ჩა და დუდ***. ჩა იგივეა, რაც ცა (ჩა-ს შეცვლა ცა-თი შე-

ნიშნულია სამეგრელოს სოფლისა და მისი მონასტრის სახელში ***ჩაისი ცაიშის*** ნაცვლად. ***დუდ*** ანუ ***დუდი*** ჭანურ-მეგრული სიტყვაა და ნიშნავს თავს. ხოლო ***არ*** კარგად ცნობილი დაბოლოებაა მრავლობითი რიცხვისა, რომელიც შემონახულია ასევე სვანურ ენაში, ესე იგი ***ჩას-დუდ-არა*** კამარებს ნიშნავს. ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით, წარწერაში მითითებული კურაპალატი – დავით დიდი ტაოს კურაპალატია (გარდაიცვალა 1001 წ.) მას პარხლის სახარების მინაწერის მიხედვით, პარხლის ტაძრის აშენება 973 წელზე ადრე უნდა დაემთავრებინა. ექვთიმე თაყაიშვილი წერს, – უეჭველია, რომ წარწერა შესრულებულია პარხლის წინამძღვრის იოანეს მიერ, რომელიც ლოცვით იხსენიებს მეორე წინამძღვარს გიორგის (საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ). ლაზური სიტყვები გვხვდება ეკლესიის მეცხრე კამარაზე არსებულ ნახევრად გადაშლილ წარწერაზეც. ამ წარწერებში მოხსენიებულია მშენებლობაში მონაწილენი. აქ ერთგან ისევ ძველი ქართული დამწერლობით შედგენილი ***შანიფხე კოჩემაისათა*** იკითხება, როგორც ი. ყიფშიძე აღნიშნავს ***ფხე*** ჭანურ-მეგრულში ასულს, ქალს ნიშნავს და ემატებოდა ხოლმე გვარს მდედრობითი სქესის აღსანიშნავად. მამაკაცის ამ გვარის ქართული დაბოლოება იქნება ***ძე. ქართველებში დღემდე შემორჩენილია გვარი შანიძე.*** სიტყვა ***კოჩემაის*** სრულად ახსნა შეუძლებელია, მაგრამ ყველამ იცის, რომ სიტყვა კოჩი ლაზურ-მეგრულში ***კაცს*** ნიშნავს.

ეპიგრაფიკით მდიდარ პარხლის ეკლესიაზე წარწერები დროთა განმავლობაში სრულად ან ნაწილობრივ წაიშალა. აღმოსავლეთ კედელზე არსებული წარწერების ნაშთები დღემდე არ შეუსწავლიათ. კვლევის შედეგად ქართულთან ერთად შესაძლოა ლაზური ასოები და სიტყვებიც გამოჩნდეს. პარხალში ლაზურენოვანი წარწერების არსებობა ბუნებრივია, რადგან შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალი ყველაზე მოსახერხებელი გზა იყო. ამ გზას ლაზებიც ხშირად იყენებდნენ, ლაზები ტრადიციულად სავაჭროდ გადმოდიოდნენ პარხალში, რომელიც ადრე დაბა იყო. ***ჯამე*** – ბაზილიკის ეზოში ყოველ პარასკევს ბაზრობა იმართებოდა, მოდიოდნენ ჭანები ანუ ლაზები. გასაყიდად მოჰქონდათ ხის ნაწარმი და კონსტანტინოპოლური იაფი ფართალი. ბაზარში მუშაობდნენ მკერავები, ეწყობოდა სხვადასხვა სავაჭრო გარიგება, იყიდებოდა სიმინდი და საჩივრებს განიხილავდნენ.

პარხალში ადრე ლაზებიც ცხოვრობდნენ, სოფლის ერთი უბნის სახელიც ლაზგილია, რაც ლაზიანთს ნიშნავს. პარხლის ეკლესიაზე არსებული წარწერა თვალნათლივ აჩვენებს, თუ რომელი ანბანით წერდნენ ლაზურს.



პარხლის მრავალთავი

პარხლის მახლობლად არმენ-ხეის ხეობაში ცხოვრობდა მართლმადიდებელი მღვდელი გვარად ღებრაძე, იგი ბრმა იყო. მოხუცმა ექსპედიციის წევრებს პარხლის ეკლესიის შესახებ ვერაფერი უამბო. სოფელ ვიჟაში მცხოვრებმა მოუყვა, შვიდი წლის წინ იერუსალიმიდან ჩამოსულ ქართველ ბერთან ერთად პარხალში იმყოფებოდა, განსწავლულ ბერს იოანე ერქვა. მან ეკლესიის კარებზე ამოიკითხა, – აშენებულია 931 წლის წინ ქართველი მეფის ალექსანდრეს და მისი მეუღლის ფეოდოსიას მიერ იოანე ნათლისმცემლის სახელზე. იოანე ბერის ნათქვამი გადამოწმებას საჭიროებს. დაზუსტებით კი შეიძლება ითქვას, – X საუკუნეში ის ადგილი, სადაც პარხალი მდებარეობს, ეკუთვნოდა ქართველ ბაგრატიდებს, ბაგრატიონთა დინასტიას, რომლებსაც ბერძენი იმპერატორები მფარველობდნენ. იმ დროის ისტორიაში მეფე ალექსანდრეს არ არის მოხსენიებული მაგრამ ბაქრაძე აჭარასა და გურიაში მოგზაურობის დროს არქეოლოგიურ კვლევაში საუბრობს ძველ საბუთზე ***სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს სიგელზე***, სადაც ჩანს, – ოდესღაც პარხალი კავკასიძეთა გვარის სამფლობელო იყო და იშხანის ეპისკოპოსის სამწყსოს ეკუთვნოდა. შემორჩენილია კავკასიძეთა სახელი, წარწერილი ძველ ხატზე, რომელიც ზარზმის მონასტრიდან ***სოფელ შემოქმედის (გურიაში) ეკლესიაში გადაასვენეს.*** მარი ბროსეს მიერ ახსნილი ერთი ასეთი წარწერა გვაუწყებს, პეტრიკ კავკასიძეზე დიდი ბერძენი მეფის ქალიშვილთან მარიასთან ერთად. ის ბაგრატ IV-ის დედა იყო, საუბარია X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისზე. ასე რომ, პარხალი X საუკუნეში ეკუთვნოდა ცნობილ ქართულ გვარს კავკასიძეს. ალბათ, ამ კუთხის ცხოვრებაში მცირე როლს არ ასრულებდა.

პარხლის მიდამოებში საყოველთაო მაჰმადიანობის პირობებში, შემორჩენილია მართლმადიდებლური აღმსარებლობის რამდენიმე ქართული ოჯახი, – აქ, ქრისტიანული აღმსარებლობის ხუთი ოჯახია, თუმცა ამბობენ, რომ კიდევ არის ოთხმოცამდე ფარული ქრისტიანი. ქრისტიანულ თემს ჰყავდა თავისი მღვდელი, რომლის ხარისხი ღებრაძეთა გვარის სამემკვიდრო საკუთრებად დარჩა. ამ გვარის წარმომადგენელმა, 60 წლის მღვდელმა სამწყსო თავის შვილს გადასცა, რომელიც ახლაციხეშია ხელდასმული.

მოამზადა

ლელა სურმავამ

თბილისში, ვაჯის რაიონში ელიზბარ მინდელის ქუჩაზე მიმდინარეობს წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გთხოვთ, შეიტანეთ თქვენი წვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის სახლი. წინასწარ გიხდით მადლობას.

ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე

GE94LB0115137832317000 LBRTGE22
სს ლიბერთი ბანკი

GE64BG0000000670704800 BAGAGE22
სს საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005 TBCBGE22
სს თიბისი ბანკი

«კარდიონილი»

დაეხმარე გულს, იყოს ჯანსაღი!!!

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების აღსადგენად ჩვენ შევქმენით ნატურალური საშუალება „კარდიონილი“, რომელიც დამზადებულია სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტების უნიკალური კომპოზიციისგან.

რატომ კარდიონილი?

ეფექტური მოქმედება

შეიცავს გამორჩეულად სასარგებლო მცენარეთა ნაკრებს, გულ-სისხლძარღვთა სისტემის კომპლექსურად გაჯანსაღებისათვის, სხვადასხვა დაავადებისას (მიოკარდიტი, სტენოკარდია, არითმია, ათერო და კარდიოსკლეროზი, ჰიპერტონია,ჰიპოტონია, ვენური უკმარისობა) და შეშუპებით გამოწვეული გულის უკმარისობი-სთვის. აგრეთვე კარდიონილის კაფსულები ეფექტიანია გადატანილი ინსუ-ლტისა და მიოკარდის ინფარქტის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში. აუმჯობესებს მდგომარეობას ნევროზის, უძილობისა და ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს. დადებითია მისი ზეგავლენა კუნთოვანი დისტროფიისა და დისტონიის (კუნთის უნებლიეთ შეკუმშვა) დროს. კარგი შედეგი მიიღწევა მისი ჩართვით სარეაბილიტაციო მკურნალობაში გადატანილი ქალა-ტვინის ტრავმის და მძიმე ინფექციური დაავადებების შემდეგ.

ნატურალური კომპონენტების უნიკალური კომპოზიცია

აღმოფხვრიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ძირითად მიზეზებს.

კუნელი — არითმიის, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის, ჰიპერტონიის დროს ხელს უწყობს სისხლძარღვების სანათურის გაფართოებას და მავნე ქოლესტერინის დონის შემცირებას სისხლში. უმჯობესდება გულის ჟანგბადით გაჯერება; რეგულირდება ეფექტურად კურნავს დეპრესიულ მდგომარეობას. აქრობს შფოთვას, უძილობასა და ნევროზს. ის ნაღვლის სადინარების, შარდსაწვეთის და სისხლძარღვების გლუვ კუნთებზე ავლენს სპაზმოლიზურ მოქმედებას, ხოლო მასში უხვად შესული მთრიმლავი ნივთიერებები ავლენენ შემომგარსველ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას.

შავბალახა — ბევრ ქვეყანაში მას ჰქვია „ფულის ბალახი“. მცენარე მდიდარია გლიკოზიდებით და რუტინით, რომლებიც ასტიმულირებენ გულის კუნთის მუშაობას, იცავს წნევა, ხოლო თავის მდიდარი შემადგენლობით კვებავს და ამაგრებს გულის კუნთს. თანამედროვე მედიცინაში კუნელი ფართოდ გამოიყენება ნევროლოგიასა და კარდიოლოგიაში.

კრაზანა — მიჩნეულია ყველაზე ძლიერ ბუნებრივ ანტიდეპრესანტად. კაპილარებს მსხვრევადობისგან, ხსნის სპაზმს და ამავდროულად ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ხსნის სტრესს და უძილობას. მისი მოქმედება 4-ჯერ აღემატება აპრობირებულ კატაბალახას მოქმედებას.

ყურძნის ფოთლების ექსტრაქტი — შეიცავს ბევრ სამკურნალო კომპონენტს, რომელთა წყალობითაც მას აქვს რადიოპროტექტორული, კარდიოპროტექტორული, ბაქტერიოციდული, ანტიოქსიდანტური, ანტივირუსული, ანტისტრესული და ანტისიმსივნური თვისებები, ამაღლებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს საკვების ათვისებას, ორგანიზმიდან გამოდევნის ტოქსინებს, ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს და ებრძვის თრომბის წარმოქმნას.

ნივრის ექსტრაქტი — წარმოადგენს უძლიერეს ანტისეპტიკურ და ანტივირუსულ საშუალებას, ის აგრეთვე დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ამაგრებს და აფართოებს კაპილარებს, დაბლა წევს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას, ატონიზირებს და აძლიერებს ჩვენს ორგანიზმს. აფერხებს დაბერების პროცესს, აძლიერებს ლიმფურ სისტემას და ამით ხელს უწყობს ტოქსინების გამოყოფას. ათხელებს სისხლს, აფერხებს ათეროსკლეროზის

„კარდიონილი“ - გაახალგაზრდავებული გული

წლების განმავლობაში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ვმკურნალობდი **გულზე**. ყოველი ახალი დღის დადგომასთან ერთად ველოდი უკეთესობას. ამდენხნიანი უშედეგო მკურნალობის მიუხედავად, თითქმის მივეჩვიე ტკივილს გულის არეში და მაღალ წნევას. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, მაგრამ ვერც სახლში და ვერც გარეთ მუშაობას ვერ ვახერხებ. ხშირად მიჭირდა სუნთქვა, ხელებში ძალა არ მქონდა. ჩემდა საბედნიეროდ, გადავაწყდი თქვეს სარეკლამო გაზეთს. დღესდღეობით უამრავი წამლის ნაცვლად მხოლოდ „კარდიონილს“ მოვიხმარ. თქვენ გაგახაროთ ღმერთმა — არც წნევა მაწუხებს და აღარც გულის ტკივილი. ერთი კურსი ჩამთავრებული მაქვს და ახლა მომდევნო კურსის შესაძენად გეწვიეთ. უზომოდ მადლიერი ვარ.

ზარვანდი ბაღაღოშვილი, 68 წლის, ყვარელი

„კარდიონილმა“ გულზე ჩხვლეტები მომიხსნა

მიუხედავად მედიკამენტოზური მკურნალობისა **გულზე ჩხვლეტები და გაძნელებული სუნთქვა** ყოველდღიურობაში გადამეზარდა. „კარდიონილმა“ თავისი შემადგენლობით ჩემი ყურადღება იმთავითვე მიიპყრო და მკურნალობა დავიწყე. ჩემ მადლიერებას საზღვარი ნამდვილად არა აქვს. გამიუმჯობესდა გულის მუშაობა, გამიადვილდა სუნთქვა და მომეხსნა ჩხვლეტები. ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი პრეპარატით.

რუსუდან ბეჟანიშვილი, 62 წლის თბილისი

წარმოქმნას, რაც ხდება ინსულტისა და ინფარქტის მიზეზი. დადებით გავლენას ახდენს ცხიმების მეტაბოლიზმზე, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს.

ვიტამინი C — ზრდის ინფექციებისა და ვირუსების მიმართ მდგრადობას, არეგულირებს სისხლის შედედებას, აწესრიგებს კაპილარების გამტარობას, მონაწილეობს სისხლწარმოქმნაში. ვიტამინი c აუმჯობესებს კალცისა და რკინის ათვისებას და ორგანიზმიდან გამოჰყავს ტოქსიკური სპილენძი, ტყვია და ვერცხლისწყალი.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკ-ფაქტორები

არასწორი კვება, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, მაღალი ქოლესტერინი, ჭარბწონიანობა

ზედმეტი დატვირთვა ან პირიქით უმოძრაობა (მჯდომარე სამსახური)

ხშირი ნერვული დაძაბულობა, სტრესი, ფსიქოლოგიური სახის პრობლემები,

ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მოხმარება

შეხვდი სიბერეს „კარდიონილთან“ ერთად

ომმა ჩემს ჯანმრთელობაზე მძიმე კვალი დატოვა, ახალგაზრდობაში **რევმატიზმისა და მიტრალური სარქველების სტენოზის** დიაგნოზი დამისვეს. მომიწია გულზე ორი ოპერაციის გაკეთება, მესამე ოპერაციის შემეშინდა, რადგან ასაკში ვიყავი. ბოლო დროს ვატყობდი, რომ ყოველდღიურად ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკან და უკან მიდიოდა. მქონდა ხშირი ქოშინი, ღამით ხველა და სისუსტის შეგრძნება, მისივდებოდა ფეხები. ხუთი წლის წინათ პირველად მივიღე თქვენი პრეპარატი ბალზამი „ალტაის ათმაგი ძალა“, მან დამირეგულირა წნევა (130—80), ადრე კი ჩემი მუდმივი წნევა იყო 200—130. თქვენს გაზეთში ამოვიკითხე გულის გამაძლიერებელი „კარდიონილის“ შესახებ. მივიღე სამი შეფუთვა, რამაც ბრწყინვალე შედეგი მომცა, გულის მდგომარეობა გამომიკეთდა, სილაღე ვიგრძენი, მომეხსნა შეშუპება, ხველის დროს ნახველი ადვილად ამოდის, ღამე კი საერთოდ აღარ მახველებს.

რაისა ბაშილოვა, მოსკოვი.

ძლიერი გული სტენოკარდიული შეტევების გარეშე

ძალიან მოხარული ვართ მე და ჩემი მეუღლე, რომ გავიგეთ თქვენს შესახებ.

ყოველი დღე ჩვენთვის შიშით იწყებოდა, რადგან ორივე გულით დაავადებულები ვართ. მე ვუჩივი **ჰიპერტონიას და მოციმციმე არითმიას,** მეუღლესაც გული აწუხებს, აქვს ხშირი ხასიათის **სტენოკარდიულ შეტევები.** ორივემ მკურნალობა დავიწყეთ ძვირად ღირებული წამლებით, მაგრამ შესამჩნევი შედეგი არც მე და არც ჩემს მეუღლეს არ გვქონდა. „კარდიონილის“ კაფსულების მიღება გვირჩია ჩვენმა შვილიშვილმა. როცა გავეცანით ანოტაციას, ძალიან მოგვეწონა მისი შემადგენლობა, დაგვაინტერესა მცენარეული პრეპარატებით მკურნალობის აზრმა და გადავწყვიტეთ, ჩვენც გვეცადა. უკვე ჩატარებული გვაქვს რამდენიმე განმეორებითი კურსი და ორივე თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობთ. შედეგი ისაა, რომ წნევამ დამიწია და გულის ფრიალი მომეხსნა, პულსი გაცილებით რიტმული გახდა. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს, მას უკლო ტკივილის შეგრძნებამ გულის არეში, თავს ორივე უფრო ლაღად და ჯანმრთელად ვგრძნობთ. იმის საშუალება მოგვეცა , რომ სიბერე გავატაროთ მშვიდად და ხალისიანად შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. უღრმესი მადლობა.

ნატალია ზინოვიევა, 65 წლის, ტულა

იყავით უფრო მხნე და შრომისუნარიანი

„კარდიონილს“ ვიღებ უკვე ერთ თვეა, მაგრამ შედავათი პრველივე კვირას ვიგრძენი. მომიხსნა **შფოთვები,** სამსახურის მერე ნაკლებად ვგრძნობ დაღლილობას. ღამღამობით სწრაფად ვიძინებ, დილით დასვენებული და ძალ-ღონე სავსე ვიღვიძებ. ყველას ვურჩევ „კარდიონილის“ მიღებას. დიდი მადლობა.

ვლადიმირ დაც, 56 წ, ომსკი

გამოფენა-გაყიდვის გრაფიკი

თბილისი **I.** მის. ბახტრიონის №22 *1,2,10,11,12,13,14,15,16; 24,25,26,27,28,29,30 აპრილი* *15.00-17.00 სს.*

II. მის. მ. ასათიანის №14 **(აქცია და ფასდაკლება არ მოქმედებს) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა** *10.00-18.00 სს.*

III. მის. ვარკეთილი-3, 2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის №1, „სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი“ (167 და 150 „მარშრუტკების“ ბოლო გაჩერება, „ავერსის“ აფთიაქის თავზე) *ყოველდღე, 10.00-20.00 სს.*

ბათუმი მის. ყაზბეგის №15, სასტ. „ყაზბეგი“ — — — — — — — — — — — — *3, 17 აპრილი და 1 მაისი 10.00-11.00 სს.*

ფოთი მის. 9 აპრილის №10 ბავშვთა გასართობი ცენტრი „ბალუ“— — — — — — *3, 17 აპრილი და 1 მაისი 14.00-15.00 სს.*

ქუთაისი მის. გამსახურდიას №45, სასტუმრო „ტირიფი ჰოლიდეი“ — — — — — *4 პრილი და 2 მაისი 12.00-13.00 სს.*

მის. კოსტავას №25, სასტუმრო „ლია“ — — — — — — — — — — — — — — — *18 აპრილი 12.00-13.00 სს.*

„კარდიონილი“

ერთი შეფუთვის ფასი ~~33,80~~ ლ -10% — 30,40 ლ კურსი (3 შეფუთვა) ~~101,40~~ ლ -25% —76,10 ლ

შშმპ და პენსიონერებისათვის: ~~30,80~~ ლ -10% — 27,70 ლ კურსი(3 შეფუთვა) ~~92,40~~ ლ -25% —69,30 ლ

სამკურნალო კურსზე –10% ფასდაკლება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე

„ქვის ზეთი“, „ციმბირული ბალზამი“, „ლიტოზეთი“ ყივიცასთან, ბალზამი „პრომედინი“, მალამო „ეფექტუმი“, თვალის წვეთები „ფაურინი“ და „ოკოვირინი“, კედრის ეფექტი, ალტაის ათმაგი ძალა, „უხონორმი“, „დიაბეტნორმი“, „ოსტეოლაიფი“

(+995) 571 22-98-98 WWW.APIFITO.GE

თბილისში ფუნქციონირებს ადგილზე მიტანის სერვისი (ფასდაკლება არ მოქმედებს),
პროდუქცია სერტიფიცირებულია, არ წარმოადგენს მედიკამენტს!

ქართლის სამეფო – კავკასიის ძლიერი სახელმწიფო

სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ვითარება იყო ამავე პერიოდის დასავლეთ საქართველოში. 63 წ. პართიასთან ზავის გაფორმების შემდეგ რომმა პონტოს სამეფო გააუქმა, რამაც ადგილობრივი არისტოკრატიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 69 წ. დაიწყო აჯანყება, რომელსაც ყოფილი პონტოს სამეფოს ფლოტის სარდალი, ანიკეტი, ხელმძღვანელობდა. იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79წწ.) ამბოხებულები დაამარცხა. სულ მალე მისივე ბრძანებით, აღმოსავლეთშავიზღვისპირეთში მცხოვრებ იმპერიის ქვეშევრდომ ხალხებზე გავლენის გამტკიცების მიზნით, სანაპირო ზოლებში განლაგებულ ციხესიმაგრეებში: აფსაროსში (გონიო), ფაზისში (ფოთი), ძიგანეონში (გუდავა), სებასტოპოლსა (სოხუმი) და პიტიუნტში (ბიჭვინთა) რომაელი მეციხოვნეები ჩადგნენ. სწორედ ეს გარნიზონები უზრუნველყოფდა ამ რეგიონში რომის იმპერიის პოლიტიკის გატარებას.

II ს. 30-იან წლებში ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს კაპადოკიის მმართველ ფლავიუს არიანეს თხზულება მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, რომელიც უაღრესად სანდო წყაროს წარმოადგენს.

არიანეს მიხედვით, ტრაპეზუნტის მიდამოებში კოლხები, ხოლო მიმდებარე მთებში სანები (ჭანები) სახლობდნენ. მათგან ჩრდილოეთით, ზღვის გაყოლებაზე არსებული ტერიტორიები თანმიმდევრობით ეკავათ ჰენიოხებსა და მიკრონებს, ძიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასგებს და სანიგებს რომაელთა მიერ დამტკიცებული მეფეები ჰყავდათ. მათი ძალაუფლება ფრიად შეზღუდული იყო. როგორც უკვე აღინიშნა, იმპერიის პოლიტიკის დასაყრდენს სანაპირო ზოლში არსებულ ციხესიმაგრეებში ჩაყენებული გარნიზონები წარმოადგენდა.

ძიდრიტების შესახებ ზემოთ ითქვა, რომ ისინი მდინარე არქაბისსა და მდინარე აფრასოსს (მდ. ჭოროხი) შორის ცხოვრობდნენ და ქართლის მეფე ფარსმან II-ს ემორჩილებოდნენ. მათ სამხრეთით, მდ. არქაბისიდან ტრაპეზუნტის სანახებამდე, ჰენიოხებისა და მაკრონების სამეფო მდებარეობდა; მდ. ჭოროხიდან მდ. კოდორამდე ლაზების სამეფოა. ამ უკანასკნელს ქართული და სომხური წყაროები კვლავ ეგრისს უწოდებენ, ხოლო ბერძნულ-რომაული წყაროები – ლაზიკას.

ფლავიუს არიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სებასტოპოლისი, ანუ სოხუმი, სანიგთა სამეფოს მიწაზეა. სანიგები იგივე სვანები არიან, ხოლო ქალაქ სოხუმის სახელწოდება ცხუმი მხოლოდ სვანური ენით აიხსნება, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აფსილებისა და აბასგების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა დიდი სხვაობაა. ერთნი ამ ეთნონიმებით მოხსენიებულ ტომებს ქართულ სამყაროს მიაკუთვნებენ, მეორენი კი – აფხაზურ – ადიღეურს. რაც შეეხება ფლავიუსს არიანესეულ აფსილთა და ანასგთა სამეფოებს, მათ ეკავათ ზღვისპირა ტერიტორია მდ. კოდორიდან ქალაქ სოხუმამდე. ფლავიუს არიანეს ამ ცნობამდე, უძველესი ქართული და უცხოენოვანი წყაროების მონაცემებით, ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთი მხოლოდ ქართული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ხსენებულ პერიოდში გარკვეულ მონაკვეთზე ადიღეური მოდგმის ტომების გამოჩენას თავისი ახსნა აქვს. ჯერ კიდევ I საუკუნეში, რომაელი ავტორი პლინიუს უფროსი ამ ტომებს ერთი საერთო სახელით – აბზუ – აბსუ – ჩრდილოეთ კავკასიაში მეოტიდის ტბასთან (აზოვის ზღვა) იხსენიებს. მათი ისტორიული საქართველოს ზღვისპირეთში ჩამოსახლება განაპირობა ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ირანულენოვანი ალანების მოსვლამ, რომლებმაც საკუთარი საცხოვრისის მოსაპოვებლად ადიღეური მოდგმის არაერთი ტომი შეავიწროეს. ეს მოვლენები დაემთხვა კოლხიდის სამეფოს დაცემას და მის წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად, ცალკეულ სკეპტუხიებად დაშლას. ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთის საზღვრებზე კონტროლი მოიშალა, რითაც კარგად ისარგებლეს აფსილებმა და აბასგებმა და ზემოთხსენებული ტერიტორია დაიკავეს.

II ს. მეორე ნახევრისა და III ს. ისტორილ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. რომი ქვეყნის შიდა რეგიონებზე კონტროლს ვერ ახერხებდა და ცდილობდა, თავისი დასაყრდენი ზღვისპირა ციხე-ქალაქები შეენარჩუნებინა.

ამ დროიდან იწყება ეგრისის სამეფოს გაძლიერება. მან თავისი გავლენა განავრცო დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებზე და ჩრდილოეთისაკენ უკუაგდო აფსილები, აბასგები, და შესაძლოა, ზოგიერთი სვანური ტომი. დიოსკურია ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.

ამისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა რომის იმპერიის შედარებით დასუსტება. III ს. რომისათვის სერიოზული შიდა გართულებების და სამოქალაქო ომების ხანა იყო. ამას დაერთო სპარსეთთან გაჩაღებული მძიმე, ხშირად წარუმატებელი ომები და ჩრდილოეთიდან, მდ. რაინისა და მდინარე დუნაის მხრიდან, ბარბაროსთა მეომარი ტომების შემოსევები.

III ს. პირველ ნახევარში ჩრდილოეთშავიზღვისპირეთში გოთების გერმანული ტომების შემოღწევა იწყება. 252 წ. მათ ბოსფორელთა ხომალდები გამოიყენეს და პიტიუნტზე მიიტანეს შეტევა. ქალაქი მაღალმა გალავანმა და მეციხოვნეთა სიმამაცემ იხსნა. ოდნავ მოგვიანებით, გოთებმა ფაზისის მახლობლად ფასიანელი არტემიდას ტაძრის აღება სცადეს, თუმცა – უშედეგოდ. ამის შემდეგ მომხვდურნი ისევ პიტიუნტს დაესხნენ თავს, აიღეს ის და გარნიზონი მთლიანად გაჟლიტეს. პიტიუნტის ბედი ტრაპეზუნტმაც გაიზიარა.

გოთების ლაშქრობების ამ მოკლე აღწერიდან, ვფიქრობთ, კარგად იკვეთება ეგრისის სამეფოს ძლიერება, რომელმაც შემოსეულ მრისხანე მტერს ფაზისის მიდამოებში სერიოზული მარცხი აგემა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეგრისის სამეფო და მთლიანად დასავლეთ საქართველო III-IV სს, მიჯნაზე რომის გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოს თავისი ძლიერება ფარსმან II-ის შემდგომ მეფის, ქსეფარნუგის (II ს. მეორე ნახევარი), დროსაც შეინარჩუნა. ამის შესახებ ირიბ მინიშნებას გვანვდის მცხეთაში, კერძოდ არმაზში, აღმოჩენილი პიტიახშ ზევახის ასულის – სერაფიტის – საფლავის ქვის ბერნულ-არამეული ორენოვანი წარწერა. მასში ნათქვამია, რომ სერაფიტას მეუღლე იყო მეფე ფსეფარნუგის ეზოს მოძღვარი, ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი იოდმანგანი. თავად მეფე ქსეფარნუგი დიდი მეფის ტიტულითაა შემკობილი. უზენაესი ხელისუფლისა და მისი დიდმოხელის ამდაგვარი ეპითეტებით მოხსენიება ქართლის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებზე უნდა მეტყველებდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ II-III სს. მიჯნაზე ქართლის სამეზობლოში საგარეო ვითარება დიდად არ შეცვლილა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართლის სამეფოს ძირითადად უნდა შეენარჩუნებინა და წარმატებით დაეცვა საკუთარი სახელმწიფო საზღვრები.

განსხვავებული ვითარება ჩანს ქვეყნის აღმოსავლეთში. II საუკუნის რომაელი ავტორი კლავდიუს პტოლემაიოსი გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში ალბანეთის აღწერისას დასახლებულ პუნქტებს შორის მოიხსენიებს ქალაქ თელაიბა – თელებას, რომელიც ქართულ თელავთან არის გაიგივებული. თუ დავუშვებთ, რომ მოტანილ ცნობაში ავტორის თანადროული ვითარებაა არეკლილი, უნდა დავასკვნათ, რომ II საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის აღმოსავლეთი პროვინციები დროებით ალბანთა სამეფომ მიიტაცა.

ზაზა აბაშიძე

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

...შურსა და ცილზე ამაღლებული...

ბ-ნი ლევანის ვორკუტლაგელმა მეგობარმა იგორ დობროშტანმა ბ-ნი ლევანის რამდენიმე ბარათი გადმომცა, ორ მათგანს აქვე გთავაზობთ.

წერილები არმაზიდან

იგორ ძვირფასო, გამარჯობათ!

ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენი ამბავი მაცნობეთ! მით უმეტეს წყალტუბოდან... აქეთ რომელმა კეთილმა ქარმა გადმოგაგდოთ! ჰო, თუმცა თქვენ საერთოდ დიდად უცნაური ბრძანდებით ამ მხრივ. მოგესალმებით ქართულ მიწაზე! მე მხოლოდ დღეს ჩამოვედი თბილისში და თქვენი ბარათი დამხვდა.

საქმე იმაშია, რომ მცხეთაში დავსახლდი. თბილისში დროდადრო ჩამოვდივარ მეუღლესთან ერთად, თქვენი საგზური ალბათ ოცდღიანია? ჩემი ვარაუდით სანატორიუმ „დრუჟბაში“ ალბათ აპრილის ბოლომდე დაჰყოფთ... თუ ჩამოსვლის საშუალება გექნათ – გაცნობებთ ჩემს მისამართს – ქ. მცხეთა, არმაზი, ლევან გოთუას. თუ ჩამობრძანდებით, ალბათ იქ მიპოვით.


ლევან გოთუა

ეს თბილისიდან 25 კილომეტრზეა.

აგიხსნით დაწვრილებით. ქუთაისი-თბილისის ხაზზე, ძეგვსა და მცხეთას შორის არის მცირე სადგური ნავთსადენი (დღეს ალბათ ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია – მცხეთიდან მეოთხე კილომეტრზე მდებარე სადგურს ნავთსადენი ერქვა. ბატონი ლევანის მცდელობით მას არმაზი დაერქვა. ჯ. ჯ.), მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ იქ მხოლოდ საგარეუბნო მატარებლები ჩერდებიან. ასე, რომ როდესაც ქუთაისიდან წამოხვალთ, სადგურ ძეგვში მოგიწევთ ჩამოსვლა და ფეხით ოთხი კილომეტრის გამოვლა ჩემს სამყოფლამდე. თუ თბილისის მხრიდან – მაშინ მცხეთაში ჩამოხვალთ და აქედანაც ოთხი კილომეტრია ნავთობსადენამდე. ამიტომ უმჯობესია გორის ან ბორჯომის მატარებელზე მოხვდეთ. ერთიც და მეორეც ჩემი სახლიდან ორას მეტრზე ჩერდება. იქ კი ყველა მოგასწავლით.

მაშ ასე, თუ საშუალება გექნებათ, გთხოვთ, მობრძანდეთ! წინასწარ ორიოდე სიტყვა მომწერეთ, რომ ერთმანეთს არ ავცდეთ.

დავით ფილიმონის ძე თბილისში ცხოვრობს (დავით კვიტაიშვილი (1910–1977 წ. წ.), ცნობილი ქართველი პედიატრი, შესანიშნავი მოქალაქე, რეპრესირებული იყო 1947–1955 წლებში. ჯ. ჯ.), ჩვენი საერთო ნაცნობები მიმოიფანტნენ ყველა მხარეს...

მოხარული ვარ, რომ თქვენც ისვენებთ სანატორიუმში. სად მუშაობთ? როგორ გძინავთ? და საერთოდ, ათასი კითხვები!

მაგრად გართმევთ ხელს!

კარგი ადამიანები კარგებად რჩებიან!

16. IV. 62 წ.

ლ. გოთუა

ძვირფასო იგორ!

ყველა ვადა გავიდა. ბარათი თქვენი მშვიდობით დაბრუნების შესახებ მივიღე. ფოტოსურათებიც მზადაა, მცხეთის საფოსტო განყოფილებაში წყალტუბოდან გამოგზავნილი თქვენი წერილიც (დამატებით) აღმოვაჩინე.

მაგრამ შევრცხვი – თქვენი მისამართი ვერც არმაზში და ვერც თბილისში ვერ ვიპოვე – ქაღალდებში მიმეკარგა.

მაგრამ წერილს ვწერ იმ იმედით, რომ ვიპოვი... მაინც ვიპოვი!

უპირველესად ყოვლისა – სალამი თქვენებს – მეუღლესა და გოგონას, ჩვენ უკვე ერთმანეთს არამარტო წერილით ვიცნობთ, არამედ პირადადაც (ტელეფონით).

თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემი გატანჯული სიცოცხლის ნაწილი კვლავ განმიახლდა. გემებიც თავიანთი ნავთსაყუდელისაკენ მიცურავენ:

იგორ, აქ, არმაზის კლდეებთან ყველაფერი ძველებურადაა, ოღონდ ცოტა უკეთ!

IV წიგნი („გმირთა ვარამი“) უკვე ააწყვეს. კორექტირებულია და მალე იქნება – ქაღალდის გამო ფერხდება... ჩვენთან ქაღალდი ხომ ყველაზე დიდი მავთულხლართია! იგივე მდგომარეობაშია რუსული (თაგმნილი) წიგნიც. მე კი ახლის დაწერა მოვასწარი – „ცხოვრება იწყება წყალდიდობით“.

ზის ახლა ციცო და ბეჭდავს. (ციცო ალხაზიშვილი – გოთუასი, მწერლის მეუღლე. ჯ. ჯ.).

მე ყოველდღიურად, ზოგჯერ დღეში ორჯერაც, ვბანაობ მტკვარში, ვთევზაობ, მალე ნადირობას დავიწყებ. ჩვენთან ჩინებული „არმაზის საღამოებია“. ეს ლიტერატურული თემაცაა. თბილისში იშვიათად ვარ. ჩვენთან კი ხშირად ჩამოდიან. სახლში ყველანი ჯანმრთელად არიან. აგარაკებზე არიან გაფანტულნი. ახლახან კოტე იყო და გიგონებდით (კოტე ჯავრიშვილი, (1914–1977), ცნობილი ქართველი მთამსვლელი, გეოლოგი, ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე; რეპრესირებული იყო 1947–1955 წლებში; ჯ. ჯ.). დავითი და სხვები ჯანმრთელად არიან.. ყველანი მოკითხვას გითვლიან თქვენც და თქვენს ოჯახსაც. სურათების ნაწილი სამახსოვროდ დავიტოვე. საუკეთესო ნაწილს კი გიგზავნით. გურამმა ფოტოსურათებს დიდი მოკითხვაც „დაურთო“ (გურამ თიკანაძე (1930–1963), გეოლოგი და მთამსვლელი. გამოჩენილი ფოტოხელოვანი, ლევან გოთუას ახალგაზრდა მეგობარი. ჯ. ჯ.).

გულითად სალამს გითვლიან ციცო და ჩვენები. პასუხის დაგვიანებისათვის გთხოვთ მომიტევოთ.

თქვენი ლევანი.

12. VIII. 62.

ირმის კვალი

სამაგალითო იყო ლევან გოთუას მეგობრობა უნიჭიერეს ფოტოხელოვანთან და მთამსვლელთან გურამ თიკანაძესთან, რომელთან ერთად შემოვლილი ჰქონდა საქარ-

თველოს მთა-ბარი; თავის მხრივ, გურამმა ლევან გოთუას განუმეორებელი პორტრეტები შემოგვინახა, ველზე, მოგზაურობისას თუ არმაზის სანახებში აღბეჭდილი...

...გურამ თიკანაძე სპეციალობით გეოლოგი გახლდათ. ერთხანს კარსტულ მღვიმეებს სწავლობდა; შემდეგ ხელოვნური გამოქვაბულების კვლევას მოჰკიდა ხელი; ლევან გოთუასთან, კოტე ჯავრიშვილთან, ატე ნემსიწვერიძესთან, სარგის ცაიშვილთან, გივი გაფრინდაშვილთან, გივი ყალაბეგიშვილთან, ნოდარ ებრალი-ძესთან და სხვებთან ერთად ქობთავისა და თრეხვის, კაცხისა და ხვამლის, ქციისა და გომარეთის, აბუხალოსა და რკონის ქვაბ-სახიზრები მოვლო, ბეთლემის ფრიალოზე განდეგილის ისტორიულ ჯაჭვსაც მიწვდა, კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის თვალშეუდგამი მწვერვალებიდან თვალი შეავლო გარესამყაროს... ბოლოს, უმთავრეს გატაცებად ფოტოსაქმე მიიჩნია, რომელიც ხელოვნების დონემდე აიყვანა... აკი სამართლიანად ითვლება კიდეც გურამ თიკანაძე ფოტოხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში... მაგრამ ლევან გოთუა გურამის უმთავრეს ღირსებად მაინც მეგობრობის ნიჭს თვლიდა...

„...შენ სამოყვასოდ იყავ გაჩენილი... იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი სამოყვასო მომხიბლაობა...“

ვინ-ვინ და, ლევან გოთუამ კარგად უწყოდა უღალატო მეგობრობის ყადრი...

...იმ საბედისწერო დღეს, ლევან გოთუა არმაზში ყოფილა... გურამის დაღუპვის ამბავი რომ ამცნეს, მტკვარზე ჩასულა, ბარგიყარიასთან, სადაც გურამთან დაკავშირებული მოგონებები უფრო მძაფრი იყო... იქ ყოველ მტკაველ მიწას ხომ გურამის ნატერფალი აჩნდა... ვინ იცის, იმ ადგილას რამდენჯერ გადაუცურავთ მტკვარი მხარდამხარ...

მწერალი სევდით იგონებს ახალგაზრდა მეგობარს:

„...მე მხიბლავდა შენი ილათიანი ცურვა – ერთდროულად არწივისა და ორაგულის თავმომწონე სილაღე და ტანმოქნილობა...“

ვისაც გურამ თიკანაძე ერთხელ მაინც უხილავს სიცოცხლეში, მყისვე აღმოაჩენს, რომ აქ არაფერია გადაჭარბებული, უბრალოდ, შედარება იშვიათი სიზუსტითაა მოხმობილი...

„...შენ აღმა ასჭერი მორევი, აქაფებულ ჩქერს მკერდი შეახალე და სამტკვაროზე რიხიანი ყიჟინა გადაატარე:

– ჰე-ჰეი! რა კარგია!

მე მაშინ აზრი დამებადა, ოდესმე დამეწერა ბალადა „ჩქერი და მოყმე“...

...სამწუხაროდ, ლევან გოთუამ ვერ აღასრულა განზრახული: ვერ დაწერა „ჩქერი და მოყმე“, რადგან გურამ თიკანაძის სავალი გზა ნაადრევად შეწყდა შხარადან დაშვების ჟამს... მისმა ლამაზმა ცხოვრებამ კი „გაზაფხულის ცისარ¬ტყელად გადაიარა“... ამიტომ დაიწერა „ირმის კვალი“, რომელშიც ახალგაზრდა მეგობრის დაღუპვით გამოწვეული დიდი ადამიანური სევდაა გადმოცემული...

„...მზე უკვე ჩადის, აქლემის ყელს ეფარება, შენ მოგწონდა ამ მთის სახელი, აქამდე არც შემიმჩნევია, ახლა კი იგი თავისი ოდრიკალა აღნაგობით შენს საბედისწერო შხარას მაგონებს.

ცხოვრების ბოლოში ხომ ყველას გვაქვს ჩვენ ჩვენი შხარა... მაგრამ შენ ცხოვრების სამი-ათეული ძლივს მოათავე და წახვედი იქ, სადაც აღარ ხუცდებიან“...

„ირმის კვალი“ წიგნში – „მთა და მოყმე“,
თბ. „ხელოვნება, 1968 წ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

სული ეზიანეთი

ძმაო ჯუმბერ!

ახალგაზრდობაში 80 წელი თითქოს შორეულ და რთულად მისაღწევ ასაკად გვეჩვენება და ჰა, 80 წელსაც მივუკაკუნეთ. ცოტა არ იყოს, სულმა წამძლია, ნეტავ, რა არის ეს ოთხმოცი-მეთქი, – ვფიქრობდი და შენზე ადრე, 7 დეკემბერს შევაღე ეს იდუმალი კარი, შენ კი, ჯერ არ მეჩქარებაო, – იფიქრე და 8 აგვისტოს დაელოდე. როგორი ზიგზაგიანია ამ მაღალი გადმოსახედიდან თავშენავლები გზა. ბილიკ-ბილიკ რომ გვივლია და შარაგზითაც, თითქოს ყველაფერი გუშინ და გუშინწინ მოხდა, თუმცა 57 წელი ერთად გავატარეთ ძმობითა და სიყვარულით, ჩვენ ხომ მთამ დაგვაძმობილა. ***მთამ იცის ადამიანის გულისთქმის ამოცნობა, სულიერი სიახლოვე და ფიცვერცხლნაჭამობის თავმდებად ყოფნა***. დაუვიწყარია 1961 წლის 28 ოქტომბერი, ის თოვლიანი ღამე, როცა ერთმანეთი ვიპოვეთ, ყურომაც დაგვილოცა ძმობისა და სიყვარულის გზა.

ჯუმბერ ჯიშკარიანი

წელიწადნახევარში მთამ ისევ შეგვახვედრა და უკვე სამუდამოდ დაგვაკავშირა, 1963 წლის სექტემბერში, ჩერქეზეთის დომბაის ალპინისტურ ბანაკში დაუვიწყარია ქლუხორის უღელტეხილსა და კოდორის ხეობაში ჩვენი ძმობისა და ერთგულების კიდევ ერთი გამოცდა... სვან სახალხო დასტაქარს – ***ვალიკო ქალდანს,*** მის სასწაულმოქმედ ხელებს, რომელმაც სამუდამო ხეიბრობას გადამარჩინა. შენი ლომისებრი მოქმედება, მზრუნველობა და გვერდში დგომა. ყოველთვის მაოცებდა შენი ფიზიკური და სულიერი მხნეობა...

1963 წელი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, შენ ბედმა გარგუნა, იყო პირველაღმომჩენი და პირველამგეგმავი ცნობილი ათონის მღვიმის, სათავე დაუდე შემდგომში ფართო სპელეოლოგიურ საქმიანობას საქართველოში. აღმოაჩინე და აგეგმე ოთხასამდე მღვიმე აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში. პრომეთეს მღვიმე რად ღირს (წყალტუბო). საძიებო-კვლევითი სამუშაოების შედეგები არაერთ სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემაში გაქვს აღწერილი, თუმცა შენი მოღვაწეობა საზოგადოების ფართო ფენამ არ იცის, რაც, ალბათ, შენი თავმდაბლობას და უპრეტენზიო

ბუნებას უნდა დავაბრალოთ... დაიბეჭდა შენი ახალი წიგნი – ***საოცარი მიწისქვეშეთი.***

ძმაო ჯუმბერ! არავის ჰგავხარ, შენი ჟურნალისტური პუბლიკაციები შენი განვლილი ცხოვრებაა, სადაც ერის ღირსების შეურაცხმყოფელთა მიმართ გამოკრთის შენი უკომპრომისო, მართალი, მხურვალე გული და სიყალბესთან შეურიგებელი ხასიათი!..

გულღია და ალალ კაცს მოყვასის კარგი გიხაროდა და ცუდი გწყინდა. სხვისი სიხარულის გაზიარება დიდი ნიჭია, ღმერთისაგან მომადლებული ნიჭი. მავანთა არაკაცურ საქციელს ყოველთვის ჯიშკარიანისეული შეუვალობით უპირისპირდებოდი და შენი გაგქონდა, იმარჯვებდი, რადგან მართალი იყავი. საოცარი ჟურნალისტური ოპერატიულობა და ალღო გქონდა და გაქვს... შეზღუდულ დროში, ერთადერთ და სწორ გზას იპოვიდი!.. შენი პუბლიკაციებით საინტერესო მოვლენებს და ისტორიებს ფეხდაფეხ მიჰყვები...

ჟურნალისტურ საქმიანობაში და პირად ურთიერთობაში განიცდიდი თითქოსდა მინდობილი მოყვასის ღალატს, უპირობასა თუ პირის გატეხვას, შენ ხომ მართალ ადამიანს ეძებდი, და თუ აღმოაჩენდი, შენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რამდენი სიხარულის ცრემლი დაგდენია, როცა მოყვასში გამონაშუქი ეროვნული მუხტი გიგრძვნია.

ოთხმოცი წლის გადასახედიდან შენს განვლილ გზას თვალი რომ გადავავლოთ, მივხვდებით, – შენი ცხოვრება ეკალ-ბარდებით უფრო იყო მოფენილი, ვიდრე ია-ვარდებით... ეს გზა კი, დამოუკიდებლად გაიკვლიე, პიროვნულმა იდივიდუალობამ გაგაძლიერა, რაც მთავარია, არ გაგაბოროტა.

სიკეთე და ერთგვარი გულჩვილობა სულ თან დაგყვებოდა... ყველა დაბრკოლება გულმართალი ბუნებით გადალახე. დღეს მძიმე განსაცდელში ხარ, დარწმუნებული ვარ, ღმერთისაკენ მიმავალ გზას მომავალშიც არ უღალატებ. ამ პატარა, თუმცა გულიდან წამოსულ წერილს, სულმნათი შოთას სიტყვებით დავასრულებ და ჩემ თავსაც შემოვუძახებ, – „***ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვითკირსა...*** “

თეიმურაზ ღლონტი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო
აკადემიის ნამდვილი წევრი, ალავერდის მონასტრის
მარნის მთავარი ენოლოგი, რჩეული ქართველი
მეღვინის საპატიო წოდების მფლობელი



სიყვარულის დესპანი ვარ...

პოეზია ფიქრისა და განცდის საუფლოა, ხოლო პოეტი მათი მასპინძელიც არის და მეგზურიც... რეზო სტურუამ ქართულ პოეზიაში გამოჩენისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მისი ლექსების გაცნობის პირველი რეაქცია მოულოდნელობა იყო, რადგან მეცნიერების სამყაროდან პოეზიაში მოსული კაცისაგან წარმოუდგენელი იყო სამყაროს მსგავსი პოეტური ხილვები და მათი განცდათა ენით სურათხატოვანი ასახვა. ჭეშმარიტი პოეზია ყოველთვის ბოლომდე ამოუცნობიც არის და ამოუთქმელიც...

თემურ ჯაგოდნიშვილი

* * *

Tuufl is gzaze
miedevne
nebas RvTiurs da
Tvali ver wvdeba
mTlian kibes,
uflis nafexurs,
mTavari aris
dainaxo
Tundac sawyisi
da Seabijo
morCilebis
pirvel safexurs.

adamiano

adamiano, erTxel mainc
Tugifiqria,
rom Semoxedvas
madlian mzis
gaurbis rac ki,
rom ukeTuri, TiTeuli
nabiji Seni,
zogjer rom sindiss
Zils daufrTxobs
da zogjer arc ki,
rogorc tkivili,
rogorc rokva
daWrilisulis,
rogorc daJangul,
dablagul xmlis
naWdevi farze.
aRibeWdeba Solt iT nagvem
sisxlis zolebad,
mamas mindobil,
jvarze gakrul
macxovris tanze.

saqarTvelos
kaTalikos-patriarqs
ilia II-s

uflis samwysoSi
udideso
da umTavreso,
mamao Cveno,
uwmindeso,
unetareso,
roca amdeni
Secodeba
gvawevs lodebad,
gzaareuli
qarTvli Svelad
Sen gelodeba.
akvanSi yrma rom
CaukonavT,
mTlad usaSvelod,
xelebis axsnas
elodeba
Sengan, maSvelo.
iq, sadac Wiri
zeobs, kacis
ismis godeba,
xelapyrobili,
Svelad isev
Sen gelodeba.
rac Jami gadis,
suli Cveni
miwas Sordeba,
gTxovar iCqaro,
wmindanT rigi
dagelodeba.

* * *

ar SemiZlia,
gulisTqma
vaiafo an vaZviro,
vdgevar da
kvlavac vidgebi,
sadac viqnebi saWiro.

asaks rom mekiTxebian,
vsaubrob mokled,
dasturad:
imdeni wlis var,
ramdenjerc
mxarSi vedeqi kacurad.

sul iwminda mxrebze mazis

wilxvedri var
RvTismSobelis,
mSobeli var
xorblis, vazis.
momavali
var warsulis
sul iwminda
mxrebze mazis.
uSbis Tovlis
fafars vvarcxni,
Ziri momdgams
kolxis, lazis.
qarTl-kaxeTis
Zala momdevs,
sul iwminda
mxrebze mazis.
ocnebebis
xonCas vatan
mTaSi aragvs,
barSi faziss,
siyvarulis
despani var
sul iwminda
mxrebze mazis.

n+1

ricxvTa simravle
maSinaa
saintereso,
Tu igi zusti,
mimdevruli
da uwyvetia...

Tu is dacema _
wamodgomis
jams gamosaxavs...
Tu wamodgoma
dacemaze
erTiT metia.

baxmaros nostalgia

axlaici,
ramsurs, Zmao?
Ramis cisken
gza gavkvalo,
axlo-axlo
varskvlavebi
orTav xeliT
gadavTvalo.
axla, ici
ramsurs, Zmao?
sayorniis
mTas vemTxvio,
kisristexviT
daveSva da
buran-nislSi
gavexvio.
kidev ici
ramsurs Zmao?
ar vifrTxileb,
romc gamWoron,
mivepar o
baxvis wyals da
mis brolis yels
veamboro.
axla, minda
daviviwyo,
rac mivlia
gzebi mrude,
am nisliviT
TeTr bavSvobas
wuTiT mainc
davubrunde!

afxaz Zmas

me, Sen da mTvare CagvZira
da mogvitaca engurma,
verc Cvenma Zmobam gviSvela.
verc `dou nanam~ megrulma.

me da Sen ZuZumteobas
dResac Tavs esxmis mavani,
orivem viciT, sadac devs
am veragobis Tavani.

dResac ki, sadac engurze
is Jangiani xidia,
Cemi da Seni codva da
damxrCvali mTvare kidia.

da mainc mjera, qvayrilze
sadac sisxlia Semxmari,
mzes modreks, napirs miaRwevs
daRlili TaraSemxvari.

gurul megobars

momwyurda Seni `elanZe~,
momwyurda Seni `Zamia~,
radro gasula, mezoblis
balirom ar gviWamia.

maSindel mkuxe xurmisgan
pirs, TiTqos, dResac viSuSxav,
Txemlis TuTuns rom vaxvevdiT
guSinwin iyo Tu guSxam.

bavSvobis xeze mivbobRav,
iq mimabrunes fiqrebma,
sanam Sen pwkalas moitan,
he... miWopito iqneba.

guriaSi mival mara...

(xalxur motivebze)

guriaSi mival mara
sul ma win-win geipara,
daRamebas acala da
saqaTmeSi Seipara.

maspinZel Tan Sua cecxlis
gaCaReba deibara,
mere, mamals rom uyvarda
is dedali meipara.

amis Semswre TeTri goWi
eWvobs, romes stumrobao,
misTvis, rogorc im ded lisTvis
ar iqneba xumrobao.

gelino, gelino...

(gelino niSnavs patarZals)

ase Sors ram
wagiyvana,
gelino,

nenes TmebSi
Seeria
WaRara,
umcros da-Zmas
moenatre
cremlebad,
babas saxe
naoWebma
daRara.
lekvicise
gaizarda uSenod,
geZebs yvelgan
Semogvyurebs
Civiliit,
gulikvnesis
Sens satkivars
usityvos,
baiari
romumReris
tkivilit,
ase Sors ram
wagiyvana
gelino...

zviad cecxlaZis xsovnas

sxvisi tanjva da tkivili
gewera gulis ficarze,
sikeTes mociqulobdi
am codviT savse miwaze.
locvebiT gasxivebuli
Sens kvals daeZebs mravali,
viRacas dResac Sia da
dResac sWirdeba wamali.
im imeds dResac acocxleb
ucodvelsa Tu codvilSi,
TxovniT gawvdili xelebi
wydeba amao lodinSi.
nugikvirs, Zmao, sikeTe
mudam pativayrilia,
saqarTvelosi Svilebma
uRmerTod mokleslia...
sxvisi tanjva da tkivili
gewera gulis ficarze,
sikeTes mociqulobdi
am codviT savse miwaze.

isev aleko Jvanias

Sen modiodi...
Sen modiodi...
Seni bavSvobis
Myifewlebidan.
imisaTvis, rom
laRad gefrina,
frTebi gamogyva
dabadebidan.

rogorc Cans, frTebma
veRar gauZles
cecxls, mogizgizes,
gulSianTebuls
da axlacremliT
Sevyureb sanTels,
RvTismSoblis xatTan
SenTvis danTebuls.

bednie reba

fexi romgidgas,
mag mwverva lidan
kargad Cans wlebi
rogor miqrian...
bednie reba
sxva ram yofila,
rome lzec adre ar gifiqria.

bednie reba
Turme is iyo,
nabij-nabijad
win rom iwevdi,
da mag Soreul,
TiTqmis miuRwev,
mwverva lisaken
rom miiwevdi.

bolo zRapari

neta es miwa
am codvas
rogor itans da
atarebs,
zRapars rom
CasCurCulebdi
xelSi ayvanil
patarebs.
Seni sjerodaT,
TvalebSi
sikeTis genTo
lampari
da ar icodnen
rom maTTvis
is iyo bolo
zRapari.

jalaTis Soltit
naxednma
bedma aSala
fafari,
mis nawya lobeb
sicocxles
arCie Sen is
zRapari.

პოლონელმა მწერალმა თანუშ კორჩაკმა არ მიატოვა თავისი მცირეწლოვანი აღსაზრდელები, ორი მათგანი ხელში აიყვანა და ისე შევიდა გაზის კამერაში. ამ დროს იგი პატარებს ზღაპარს უყვებოდა ჩურჩულით.

* * *

drom Tavisi gaitana
TiTqmis dacxra vnebebi,
sulis fskerze daileqa
mZime mogonebebi.

oRond, mware es fiqrebi
sadRac unda gavxizno,
leqsi romar SevanjRrio,
romar gamovafxizlo.



სკულპტურა ჟენევაში, ადამიანის სულიერი სიცარიელე

არიქა, ვავიკოთ ექტი უვიზო მიმოსვლის შესახებ...

საინფორმაციო კამპანიის დაწყება

საქართველოსთვის გახსნილი ახალი შესაძლებლობა – ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა, შესაძლოა გურულების თვისებებთან დავაკავშიროთ – სისხარტე, ღიაობა, კომუნიკაბელურობა – გურულების და აღნიშნული შესაძლებლობის საერთო მახასიათებლებია, და თუ რატომ, აგიხსნით:

ნინო ბოლქვაძე

სისხარტე: სწორედ უვიზო მიმოსვლა გვიხსნის ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს არაჩვეულებრივ შესაძლებლობას, სწრაფად, შემცირებული ბარიერების გარეშე, ვიმოგზაუროთ ევროპის ქვეყნებში, მოვინახულოთ ახლობლები, მეგობრები, ვისწავლოთ მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამებით, ვიმკურნალოთ, განვახორციელოთ სხვა აქტივობები, რომლებსაც ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში, გადაბმით ან გადანაწილებით 90 დღეში შევძლებთ. თუ უვიზო მიმოსვლამდე ვიზის აღება დაკავშირებული იყო საკონსულოში ორი თვით ადრე ჩაწერასთან, ლოდინთან, მოსაკრებელის გადახდასთან, გასაუბრებასთან და სხვა შემაფერხებელ ფაქტორებთან, ამჯერად, ეს ბარიერები მოხსნილია. როგორც კი გამოჩნდება ხელსაყრელი და რეალური შესაძლებლობა ევროპაში გასაფრენად, ჩვენ ეს, დღეს, ისევე სხარტად შეგვიძლია, როგორც გურულებს ეხერხებათ, საქმის სწრაფად შესრულება.

ღიაობა: უვიზო მიმოსვლა ჩვენს მოქალაქეებს უამრავ ახალ შესაძლებლობას უხსნის. ჩვენ შეგვიძლია, გავიცნოთ ევროპის ქვეყნები მათი მრავალფეროვნებით, საინტერესო ისტორიებით, კულტურული განსხვავებებით, გავიფართოოთ თვალსაწიერი. სიახლეებს კი შევეგებოთ ისევე გახსნილად, როგორც გურულებს ახასიათებთ.

კომუნიკაბელურობა: უვიზო მიმოსვლა, პირველ რიგში, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების გამარტივებული საშუალებაა. ბიზნესკონტაქტების გაფართოება, მოკლევადიან კულტურულ თუ შემეცნებით კურსებში მონაწილეობა, ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება, – ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომელსაც უვიზო მიმოსვლა ჩვენს მოქალაქეებს სთავაზობს. აღნიშნული შესაძლებლობა გვიმარტივებს კომუნიკაციის არხებს, რაც გურულებისთვის არის დამახასიათებელი. ასევე ხელს შეუწყობს საჭირო ურთიერთობების დამყარებას.

ამ შესაძლებლობებს საქართველოს მოქალაქეები უკვე ერთი წელია სარგებლობენ. მიუხედავად დადებითი შედეგისა, 2017 წლის 28 მარტიდან დღემდე, უვიზო რეჟიმით საქართველოს მოქალაქეებმა დაახლოებით 240 000-ჯერ ისარგებლეს, ამ მაჩვენებლებს ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის სერიოზული ზრდაც მოჰყვა. ეს შედეგები კი, არც თუ ისე დადებითად შეიძლება აისახოს ჩვენს საერთო მონაპოვარზე, ისევე, როგორც ევროკავშირთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ინფორმირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ უვიზო მიმოსვლის შესახებ, 2018 წლის მარტიდან დაიწყო საინფორმაციო კამპანია. კამპანიის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ უვიზო მიმოსვლის წესებს და რაც მთავარია, იმ რისკებსა და საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია, როგორც წესების დარღვევასთან, ისე თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართლზომიერ გამოყენებასთან.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლების განაცხადების 97% არ აკმაყოფილებენ. უარს ეუბნებიან სტატუსზე და უკან აბრუნებენ სამშობლოში. მაგალითად,

საინფორმაციო კამპანია თსუ-ში

გურია, ოზურგეთი

2017 წელს გერმანიაში თავშესაფრის განაცხადების მხოლოდ 2% დააკმაყოფილეს, ხოლო 2018 წლის იანვარში, თავშესაფრის 700 მაძიებლიდან ვერცერთმა მიიღო დადებითი პასუხი. გარდა იმისა, რომ ასეთ მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევისთვის, იძულებით დაბრუნება ემუქრებათ, შესაძლოა შენგენის სივრცეში ხუთი წლის ვადით აეკრძალოთ შესვლა და 3000 ევროთი დააჯარიმონ. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნა უმეტესად არ დაკმაყოფილდება, რადგან საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები. ლტოლვილის სტატუსი ძირითადად ენიჭება პირს, რომელსაც ეშინია, არ გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებებისთვის და არ შეუძლია, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში, რადგან საერთაშორისო დაცვას საჭიროებს. საქართველოში ადამიანებს მსგავსი არ ემუქრებათ, რის შესახებ კარგად არის ცნობილი საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებისთვის. ევროპის ქვეყნები საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარებენ, რაც საფუძველს უქმნის, თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადები გამარტივებული პროცედურით და შემჭიდროებულ ვადებში განიხილონ, უარის პირობებში, ასეთი ადამიანები უკან, სამშობლოში დააბრუნონ.

თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი

მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, უმიზეზოდ თავშესაფრის მოთხოვნა, უარის მიღება და სამშობლოში იძულებით დაბრუნება, აღიქმება, როგორც უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევა. წესების დარღვევა კი მოქალაქეებს დიდ ფინანსურ ზარალს მოუტანს. ხშირია შემთხვევები, როცა დასაქმების ან თუნდაც თავშესაფრის მიღების მოლოდინით წასული ჩვენი მოქალაქეები, აქ ყიდიან ქონებას, იღებენ კრედიტს და საბოლოოდ იძულებითი დაბრუნების შემდეგ, დაზარალებულები ყველაფერს თავიდან იწყებენ.

ხშირად არის შემთხვევებიც, როცა გარკვეული ჯგუფები საქართველოს მოქალაქეებს მოტყუებით და ანაზღაურების სანაცვლოდ, ევროპის ქვეყნებში დასაქმებას სთავაზობენ, უნდა გვახსოვდეს, რომ უვიზო მიმოსვლით მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტებით შეგვიძლია ვისარგებლოთ, არ გულისხმობს სამუშაო მიზნით გამგზავრებას. ვეცადოთ, არ გავხდეთ მოტყუების მსხვერპლი!:

მიმდინარეობს მოქალაქეების ინფორმირება და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, გვარის შეცვლასთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციებით, იმ არაკეთილსინდისიერ პირებს, რომლებიც შენგენის სივრცეში დანაშაულს ერთი გვარით ჩაიდენდნენ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი გვარს შეიცვლიდნენ და უკან შენგენის ზონაში მიემგზავრებოდნენ, შეეზღუდებათ გვარის შეცვლის მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, სამომავლოდ კრიმინალურ დანაშაულობებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

საინფორმაციო კამპანია საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით წარიმართა. კამპანიის ფარგლებში შეხვედრები მოეწყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის გურიაში.

შესაძლო საფრთხე, რომელიც უვიზო მიმოსვლის წესების დარღვევას მოჰყვება, მალე აღმოიფხვრება, თუ ჩვენი მოქალაქეები გააცნობერებენ, რომ ეს შესაძლებლობა საერთო მონაპოვარია, მას გაფრთხილება სჭირდება, რადგან პირდაპირ არის დაკავშირებული უვიზო მიმოსვლით სარგებლობის წესების დაცვასთან.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი
www.infocenter.gov.ge

აჭარა, ბათუმი

იაპონელი სტუმრები წყალტუბოს მღვიმეში

რაინდად დაბადებული

ჯუმბერ ჯიშკარიანს აქამდე მხოლოდ პრესაში დასტამბული წერილებითა და ჩემი მეგობრების მონათხრობით ვიცნობდი. (პროფესორი ელგუჯა მაღრაძე, აკადემიის წევრ-კორი სარგის ცაიშვილი, პროფესორი სერგი სერებრიაკოვი, პროფესორი სოსო სიგუა, დამსახურებული ჟურნალისტი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ივანე ჯაფარიძე, პროფესორი ალექსანდრე კალანდაძე, მწერალი ემზარ კვიტაიშვილი და სხვა.

ახლახანს პირადადაც გავიცანი. თუმცა მხედველობის პრობლემები შეექმნა, მაინც სულიერად გაუტეხელი დარჩა. ამ ცოტა ხნის წინ გაიმართა მისი წიგნის წარდგინება მწერალთა სახლში. კიდევ რამდენიმე წიგნი აქვს გამზადებული დასასტამბად. ასეთი რისკი ვაჟკაცობაა, ვაჟკაცობა კი ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს.



ჯუმბერ ჯიშკარიანმა – მეცნიერმა, სპელეოლოგმა, პრომეთეს მღვიმის აღმომჩენმა, დამსახურებულმა ჟურნალისტმა რაინდულად იცხოვრა. უფალმა სულიც რაინდული უბოძა.

შეხედავ – რაინდია, მოქმედებაში – რაინდი – მუდამ უშიშარი და გაბედული.

სჯერა როგორც ნებისყოფის სიმტკიცის, ისე – ბედისწერის.

ერისკაცობაში, მეგობრობაში, თანამშრომლობაში უღალატოა.

აზროვნებაში, დუმილში, ჭირსა შიგან თმენაში, გაუტეხელი.

არაერთხელ მიხილავს მისი ფაქიზი ურთიერთობა ვაჟიშვილთან.

ოდესმე ყველაფერს მოევლება, – ამბობს. ესეც რაინდული იმედია.

სიყვარულში ხომ რაინდია და რაინდი...

ახალი წიგნებიც – ***ჩვენი ოტია, მზაკვრობა დალის ხეობაში, ...შურსა და ცილზე ამაღლებული...*** ხომ რაინდული გვაჩუქა, რომელიც გამოჩენილ მწერალს ოტია იოსელიანს და ლევან გოთუას ეძღვნება.

იგი ანალიტიკოსიცაა და დოკუმენტალისტიც. ჰუმანისტური ოპტიმიზმია მისი რელიგია. რწმენა ერთგულებას ითხოვს. საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება ამოუხსნელის პასუხისმგებლობა დააკისრო. მას სწამს ამგვარი ზეარსება. იგი რთული შემოქმედია.

წარსული თავდებია მომავლისა. მასთან რაინდული სამყაროს კანონები უცვლელია.

ამ ასაკშიც კვლავ რაინდული, დიდებული, ურყევი რჩება ჯუმბერ ჯიშკარიანის გონება, ისევე, როგორც მისი ნერვები. მისი ქმედითი სული არასდროს ისვენებს, არასოდეს სძინავს და არ თვლემს გულარხეინად ეს ფხიზელი, დაუდეგარი გონი.

ჯუმბერ ჯისკარიანი სინამდვილეს ჭვრეტს არა მხოლოდ გონებით, არა მხოლოდ ჭკუით, არა მხოლოდ გრძნობით, არა ერთი რომელიმე უნარით, არამედ მთელი თავისი არსებით. ჯუმბერ ჯიშკარიანის ცხოვრების სტილი ინტიმური მეტყველებაა სულისა. დაე, იდინოს დრომ და თან მოიტანოს ახალი მოთხოვნილებანი.

ახლა კი ვისურვოთ, რომ ეს საუცხოო ნიჭი დიდხანს ბრწყინავდეს მეცნიერებაშიც, ჟურნალისტიკაშიც და სპელეოლოგიაშიც.

ფასი თანადროულობისა ვიცით მხოლოდ წარსულთან ზიარებით.

დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას.

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

იაპონელი სტუმრები წყალტუბოს მღვიმეში

2010 წლის 21 ნოემბერს, ბატონი ოტია იოსელიანის მენეჯერმა, ქალბატონმა თამუნა გელოვანმა დამირეკა – ხვალ ჩვენთან იაპონიის ელჩი მობრძანდება. ბატონმა ოტიამ ჩამოსვლა გთხოვათ, რადგან სტუმრებს თქვენი მღვიმის დათვალიერებაც სურთო.

დილაადრიან ბატონ ოტიასთან ვიყავი. მეგონა ყველაზე ადრე მივედი, მაგრამ მწერლის უახლოესი ადამიანები – თემურ კეპულაძე, კუკური ერაძე და ავთანდილ იოსელიანი უკვე ადგილზე დამხვდნენ.

3 ნოემბერს თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ბატონ ოტიას შეხვედრა გაუმართეს. მიზეზთა სხვათა გამო საღამოს არ დავსწრებივარ. ამიტომ თამუნას ვთხოვე, იმ დღის შესახებ მოეთხრო.

დარბაზი გადაჭედილი იყო. მისალმებებს ბოლო არ უჩანდა. საპატიო სტუმრებს შორის მინვეული გახლდათ იაპონიის ელჩი, რომელიც იუბილარს გულთბილად მიესალმა.

ბატონი ოტიას მეგობარმა, ბატონმა კარლო ქველაძემ ბატონ ოტიას უამბო, როგორ დაინტერესდა ბატონი ელჩი იაპონიაში გამოცემული „დაჩის ზღაპრებით“, მაგრამ წიგნი ვერსად ვიშოვეო. როგორღა იშოვიდა. ის წიგნი სულ ორად-ორი ეგზემპლარია საქართველოში. ბატონმა ოტიამ თავისი ეგზემპლარი ელჩს უსახსოვრა ავტოგრაფით; ძმის ოჯახს კი მოუბოდიშა და ადრე ნაჩუქარი წიგნი უკან გამოართვა – „სახლში ნიმუშად რომ იდოსო“...

ზუსტად დათქმულ დროზე შავი, გაწკრიალებული „ნისანი“ მოსრიალდა.

ძვირფას სტუმრებს – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის აღმატებულობას მასაიოში კამოჰარას, მის მეუღლეს ჯუნკო კამოჰარას, საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტს, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ კარლო ქველაძეს და მის მეუღლეს ქალბატონ ლონდას ბატონი ოტია პარმაღზე შეეგება.

სტუმრები ვრცელ დარბაზში შევიპატიჟეთ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ დიდებული სასახლის პროექტის ავტორიც, ხუროც, დურგალიც, მებუხრეც და „შავი მუშაც“ თავად ბატონი ოტია ბრძანდება. მაგრამ ფაქტი ჯიუტია!..

დარბაზის დასავლეთ კედელზე, საპატიო ადგილზე, ბატონი ოტიას მშობლების, საფიცარი ბებიისა და სხვა გარდაცვლილ დიდ წინაპართა სურათებია. დარბაზის კედლები ფერწერული ტილოებით და ჩანახატებითაა დაფარული, ***აღმოსავლეთ კედლის ბოლოს კი მხოლოდ ხატებია. აქ ბატონი ოტია უფალს ავედრებს სამშობლოს.*** სამხრეთის კედელი მთლიანად თეატრალური აფიშებითაა დაფარული. ან რა გასაკვირია – ***ბატონი ოტიას პიესები სხვადასხვა ქვეყნის ას თეატრშია დადგმული!***

ვიდრე მასპინძელი და ბატონი ელჩი სამომავლო გეგმებზე საუბრობენ, ქალბატონი ჯუნკო კამოჰარა, ბატონი კარლო და მისი მეუღლე ქალბატონი ლონდა ბატონი ოტიას წიგნებს ათვალიერებენ.

სამი კარადა ვერ იტევს ბატონი ოტიას წიგნებს, რომე-

ლიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დასტამბული. წიგნების საერთო ტირაჟი ექვს მილიონზე მეტია!

ამერიკაში, კონგრესის ბიბლიოთეკაში ბატონი ოტიას თექვსმეტი წიგნია დაცული.

სტუმრებს განმარტებებს აძლევს **„ზღაპრული დაჩის“** პროტოტიპი, ბატონი ოტიას შვილი, დაჩი იოსელიანი, უმცროსი ოტია იოსელიანის მამა.

ცხადია, საუბარი იაპონიაში დასტამბულ „დაჩის ზღაპრებსაც“ შეეხო. იაპონიის საქმეებში გაცნობიერებული ბატონი კარლო ქველიძე გვიამბობს: „დაჩის ზღაპრები“ იაპონიაში 1982 წელს გამოიცა, რომელიც იასუე მიაგავამ თარგმნა, დაისტამბა გამომცემლობაში – „ბუნკინ შუპან“.

„ამომავალი მზის ქვეყანაში“ ბავშვების კულტია! ერთ დროს საბჭოთა კავშირში გავრცელებული დევიზი – **„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს! –** დიდი ხანია, იაპონიაში რეალობადაა ქცეული!

ეტყობა, იაპონელებს ისე მოეწონათ **„მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ბიჭის ამბავი“** (ასე უწოდა წიგნს რედაქტორმა), რომ ექვსჯერ დასტამბეს!

მასპინძელი სტუმრებს სუფრასთან იწვევს. სუფრაზე მხოლოდ ეროვნული კერძებია. ყველაფერი ისეა მომზადებული, თითებს ჩაიკვნეტ.

თამადობა ბატონმა ოტიამ თავად გასწია. სადღეგრძელოებში იაპონელი ხალხისადმი უდიდესი პატივისცემა და მადლიერება არაერთხელ გამოხატა.

– რავა არ ვიყო იაპონელების მადლობელი, – ამბობს ბატონი ოტია, – ჩემი წიგნები ბარე ოცდაათ ენაზეა თარგმნილი, მარა, ჰონორარს ვინ ჩივა, ზოგჯერ წიგნის საავტორო ეგზემპლარის გამოგზავნაც ეზარებათ. იაპონელებმა კი წიგნი რამდენჯერაც დაბეჭდეს, ჰონორარიც იმდენჯერ კეთილსინდისიერად გამოგზავნეს. ჩემი ახალი მანქანაც „დაჩის“ ჰონორარით შევიძინე.

ტრაპეზი დასრულდა.

სტუმრებთან ერთად მღვიმისკენ მივემართებით.

– ბატონო კარლო! ერთ დროს სამოთხისდარი წყალტუბო ძნელბედობისას ისე გაჩანაგდა, ნაომარს დაემსგავსა. მართალია, კურორტის რეაბილიტაცია დაიწყო, მაგრამ ამას დრო უნდა. დღეს ჩვენ შეგვიძლია სტუმრებს ვაჩვენოთ წყალტუბოში მოქმედი, საერთაშორისო დონის კვლევითი ინსტიტუტი.

– რა ინსიტუტუტია?

– ეს გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი.

– კი მაგრამ, ეს რა კავშირშია ჩვენს მოგზაურობასთან?

– პირდაპირ კავშირშია, ბატონო კარლო! ძნელბედობისას, როცა სრულიად უსახსრონი ვიყავით, ბატონმა რეზომ ხელი გამოგვიწოდა; მისი დახმარებით წყალტუბოს მღვიმეში კვლევითი სამუშაოები გაგრძელდა, სწორედ მაშინ გამოვლინდა წყალტუბოს მღვიმის მიკროკლიმატის სამკურნალო თვისებები. წყალტუბოს მღვიმის შესახებ მასალები არაერთხელ დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში *„იმუნორეაბილიტაცია“.*

სხვათა შორის, წყალტუბოს ინსტიტუტმა ამასწინათ საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა. წყალტუბოში ჩამოვიდნენ გამოჩენილი მეცნიერები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. კონგრესის პრეზიდენტის, ბატონი რევაზ სეფიაშვილის დავალებით, მეცნიერთა ჯგუფი წყალტუბოს მღვიმეში მყავდა; ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ.

– ეს მართლაც საინტერესოა, მაგრამ ბატონ ელჩს უკვე დანიშნული აქვს შეხვედრა თბილისში. ამიტომ დროში ძალიან შეზღუდული ვართ. თუმცა, წყალტუბოში საგანგებოდ ჩამოვალთ და თქვენი შეთავაზებით აუცილებლად ვისარგებლებთ, – თქვა ბატონმა კარლომ.

ყუმისთავში წვიმდა. მღვიმის ადმინისტრაციის შენობასთან ვჩერდებით. სოფელში, სადაც ორი ურემი გვერდს ვერ აუვლიდა, ასფალტია დაგებული.

სტუმრებს ადმინისტრაციული შენობის მთავარ დარბაზში გამოფენილ მღვიმის გეგმას ვაცნობ და ძირითად ინფორმაციას ვაწვდი.

რაკი მთელი მღვიმის დათვალიერებას ვერ მოასწრებენ, ქვემოთ, გამოსასვლელისკენ ვეშვებით და სატრანსპორტო გვირაბით მღვიმეში შევდივართ.

მღვიმის დეტალური დათვალიერება სამომავლოდ გადაიდო.

ზედაპირზე რომ გამოვედით, სტუმრებს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის ანაბეჭდი“ მივართვი, ინგლისურ ენაზე, რომელშიც ჩემი და კოლეგების ერთობლივი სტატიაა დაბეჭდილი წყალტუბოს მღვიმის შესახებ.

ძვირფას სტუმრებს ვემშვიდობებით და ბედნიერ მგზავრობას ვუსურვებთ.

უზომოდ გამახარა, რომ ბატონი ელჩის მეუღლე, ქალბატონი ჯუნკო კამოჰარა, გამოჩენილი ქართველი მწერლის, ოტია იოსელიანის პატივისცემის ნიშნად, ეროვნულ სამოსში – კიმონოში ჩამობრძანდა.

...სადილობის შემდეგ ქალბატონმა ჯუნკო კამოჰარამ სულ ორი სიტყვა მითხრა ქართულად – **ყველაფერი გემრიელია, გმადლობთ.**

ეს დღე სამუდამოდ მემახსოვრება!

რატომ? იმიტომ რომ ამით კეთილშობილმა ქალბატონმა, ყოველმხრივ სამაგალითო ქვეყნის შვილმა, ჩემი ქვეყნისადმი, ჩემი ენისადმი პატივისცემა გამოხატა...

– ბატონო ელჩო! მოხარული ვარ, რომ მღვიმე მოგეწონათ. მზად ვარ, წყალტუბოში თქვენი მორიგი ჩამობრძანებისას კვლავ გაგიწიოთ მეგზურობა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ მღვიმეში მრავლად იხილავთ ოსტატთა შორის ყველაზე საოცარი ოსტატის – ბუნების ჯადოსნური ხელით შექმნილ, საოცარ სამყაროს...

გზა მშვიდობისა...

ზუსტად ოთხი თვე გავიდა ამ დღიდან.

მსოფლიო შეძრა ტრაგედიამ, რომელიც იაპონიას დაატყდა თავს...

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ელჩის ტელეფონის ნომერი მქონდა, მასთან დარეკვა არც მიცდია, რადგან ვიცოდი, ყოველი მხრიდან განუწყვეტლად ურეკავდნენ და მის ზედმეტ შეწუხებას მოვერიდე. ამიტომ, კრწანისის ქუჩაზე მივედი და ჩემი გულისტკივილი იაპონიის საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში დავტოვე...

ჯუმბერ ჯიშკარიანი

„რეზონანსი“, 2011 წლის 2 აპრილი

ქვის მედუზა, იაპონიის ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა, ჯუნკო კამოჰარა და ჯუმბერ ჯიშკარიანი

თეიმურაზ ღლონტი - 80

რჩეული ქართველი მეღვინის წოდება და სახელობითი ქვევრი

თეიმურაზ ღლონტი

ცნობილ ქართველ ენოლოგს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტოროს, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრს, ალავერდის მონასტრის მარნის მთავარ ენოლოგს, ბატონ თეიმურაზ ღლონტს 2017 წლის 7 დეკემბერს დაბადებიდან 80, და სამეცნიერო, საზოგადოებრივი პუბლიცისტური საქმიანობის 55 წელი შეუსრულდა.

ამ მნიშვნელოვან თარიღებს გამოეხმაურა ალავერდის მონასტერი და ღვინის კომპანია ბადაგონი. ალავერდის მონასტრის მარნის წინ საზეიმოდ გაიხსნა სახელობითი ქვევრი – ქვის ფილაზე ამოკვეთილი ქვევრის გამოსახულებით და წარწერით, – **თეიმურაზ ღლონტი 2017.**

სახელობითი ქვევრი საზეიმო ვითარებაში გახსნა ამბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, – ბატონმა თეიმურაზ ღლონტმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენა-აღორძინებში.

23 დეკემბერი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩევა. კომპანია ბადაგონის მესვეურმა ბატონმა გიორგი სალაყაიამ თეიმურაზ ღლონტს საზეიმო ვითარებაში გადასცა სპეციალური პრიზი და ახლადდარსებული **რჩეული ქართველი მეღვინის წოდების დამადასტურებელი სიგელი.** სასიხარულოა, ბატონ თეიმურაზს ალავერდის მონასტერი და კომპანია ბადაგონი ასეთ პატივს რომ მიაგებს.

2017 წელს შესრულდა ორი მნიშვნელოვანი თარიღი, – ათი წელი ქვევრში კახური ღვინის უძველესი ტრადიციული წესის აღდგენიდან ალავერდის მონასტრის მარანში. ასევე, დაკარგვის პირას მისული უნიკალური ღვინის ვაზის ჯიშის – კახური მცვივანის მოძიების და მისი პოტენციალის კომპლექსურ და მეცნიერულ კვლევაში. ფაქტობრივად, ვაზის ქართული გენოფონდის ტექნოლოგიური პოტენციალის მეცნიერული შესწავლის ახალი ეტაპი დაიწყო.

საფუძველი ჩაუყარა იუნესკოს მიერ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული წესით დაყენების ქართული მეთოდის აღიარებას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად, – ბატონ თეიმურაზს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

რედაქციისგან: გურიაREGION აქტიურ ავტორს, ბატონ თეიმურაზ ღლონტს გულთბილად ვულოცავთ მნიშვნელოვან თარიღებს, ვუსურვებთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

შალვა ძნელაძე

ჩხიკვთა ქორწილი


ბახმარო


ბეიზაკი

გურული გლეხი

ბეიზაკი

საუბარი

ფიქრი


ნალია

ბაზრის ერთი კუთხე


გურული ქალი

ახალი წლის წინა ღამე


ნატურმორტი


ცეკვა ქართული

გამგზავრებაადგარაჯზე


ხევსურის სიკვდილი

პორტრეტი


ჩალანდარი

ლუარსაბი და დარეჯანი

ნაზმელი

ჯანყი გურიაში

ყველა ბრუნდი და მართალი,
აუღიათ იარაღი,
შიშვლად აქვენ ხელში ხმალი,
ვისაც არ აქვს იარაღი,
აუღიათ თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებიან,
ამოვიღოთ გულის ჯავრი,
ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ,
აუდუღოთ სისხლის ღვარი,
ღმერთმა ისეთ დროს მოგვასწროს,
ამოგვეღოს მისი ჯავრი,
თხოვნას ღმერთი აგვისრულებს,
გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი.

ეგნატე ნინოშვილი

ჯანყი

შეთქმულება


შეთქმულება

თავდასხმა

შალვა ძნელაძე – უბადლო გრაფიკოსი

ადამიანი თავისი მოღვაწეობით ფასდება. ხანგრძლივი სიცოცხლე შესაძლოა უსარგებლო და უმიზნო იყოს, – ხანმოკლე კი, ნათელი და შემოქმედებით აღსავსე...

შალვა (ვალერიან) ანტონის ძე ძნელაძემ ესკიზების სახით შექმნა კომპოზიციური სურათები, პორტრეტებს და პეიზაჟებს ნატურიდან ხატავდა, ამზადებდა მასალას დიდი მხატვრული ტილოებისთვის, მაგრამ მძიმე სენით დაავადებულმა ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ მიიყვანა. სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როცა შემოქმედებითი ცეცხლით იყო აღგზნებული. მხოლოდ ოცი წელი ხატავდა, მიუხედავად ამისა, ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა...

შალვა ძნელაძე დაიბადა 1892 წლის 15 ივლისს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბურნათში. 1904 წელს ანტონის ოჯახი საცხოვრებლად დაბა ჩოხატაურში გადავიდა და ბოლო დრომდე იქ ცხოვრობდა. ჰყავდა ოთხი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. ანტონ ძნელაძე შრომისმოყვარე, წესიერი, გონებამახვილი კაცი იყო. მისდევდა სოფლის მეურნეობას, ვექილობას, საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა.

შალვამ პირველი დაწყებითი განათლება (ხუთი კლასი) ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. მშობლებმა, სწავლის პარალელურად, იმავე სასწავლებლის ხატვის პედაგოგს ვასილი კროტკოვს მიაბარეს. მხატვარი შალვა მამალაძე იხსენებს, – ***ხატვის კაბინეტი სახელოვნებო წიგნებითა და საკაცობრიო მხატვრობის ცნობილი ნიმუშების რეპროდუქციებით იყო სავსე...*** ჩინებული მხატვარი ვ. კროტკოვი ქუთაისის შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა.


შალვა ძნელაძის მამა ანტონ ძნელაძე, ნახ. შ. ძნელაძის

ვასილი კროტკოვმა შალვას ხატვის ნიჭი თავიდანვე შენიშნა და სათანადო ყურადღებას აქცევდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისში სახვითი ხელოვნების წამახალისებელ საზოგადოების სკოლაში სწავლობდა. შალვას პედაგოგები იყვნენ, – ***ალ. მრევლიშვილი, მ. თოიძე, პ. პრინევსკი. ბ. ფოგელი და სხვები.*** პედაგოგების ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით, შალვა კიევში გაემგზავრა და საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის გამგებლობაში არსებულ სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა. 1914 წლიდან სასწავლებლის დირექტორი იყო თევდორე კრიჩევსკი. შალვამ თავიდანვე მიიქცია პედაგოგების ყურადღება. ხშირად მონაწილეობდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებში, კიევის ჟურნალებში გამოქვეყნდა მისი ნახატები და რეპროდუქციები, იყო კიევის ყოველკვირეული, სალიტერატურო, სამხატვრო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჟურნალ ***ეპოქის*** თანამშრომელი. მეცხრე ნომერში დაიბეჭდა მისი ნამუშევრები, – ***კავკასიის მთებში, ნახტომი, ბრძოლა კავკასიის ფრონტზე.***

შალვა ძნელაძის და დარეჯანი, შ.ძნელაძის ნახატი

შალვა ძნელაძის პორტრეტი 1911 წელი

შალვას სურათები გამოირჩეოდა კომპოზიციური აგებულებით. იგი პროფესიონალი მხატვრის შთაბეჭდილებას ტოვებდა და დიდ ყურადღებას იპყრობდა.

ძნელაძეების მრავალსულიანმა ოჯახმა შალვას კიევში მატერიალური დახმარება ვერ აღმოუჩინა. საბედნიეროდ, ანტონის ბიძაშვილი დიმიტრი ძნელაძე, რომელიც სარაკომიშის სამხედრო უწყებაში მსახურობდა, სწავლის საფასურს უხდიდა. კიევის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1917 წელს სამშობლოში დაბრუნდა. თექვსმეტი წელი სკოლაში ასწავლიდა და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა. მხატვარს დასურათებული აქვს ჟურნალები, – ***თამარიანი, ლევან მეტრეველის წიგნი ამბავთა ქარავანი, ლავრენტი ჭიჭინაძის ისლიანი სახლები, ეგნატე ნინოშვილის და დავით კლდიაშვილის თხზულებანი.***

შალვა ძნელაძე თვალყურს ადევნებდა სახვითი ხელოვნების ფრონტზე მომხდარ ცვლილებებს, თუმცა მოდას არასდროს აჰყოლია, ბოლომდე რეალიზმის მიმდევარი დარჩა. მხატვრის შთაგონების წყარო მშობლიური კუთხე – პატარა გურია იყო. ნახატებში ასახული აქვს გურიის ცხოვრება თავისი წარსულით, ეგნატე ნინოშვილის მხატვრული მემკვიდრეობა, – 1905 წლის აჯანყება გურიაში, შექმნა გურული ტიპების გრაფიკული ჩანახატების კოლექცია, რომელმაც გაამდიდრა ჩვენი სახვითი ხელოვნების საგანძური. გ. თოთიბაძე აღნიშნავს, – ***გურიას ამ თვალსაზრისით ვერავინ დაინახავს, ამ კუთხეს კარგად უნდა იცნობდე, შალვა ძნელაძის შემოქმედება ჭეშმარიტად რომ აღიქვა...***

გურია თავისი მთებით, მდინარეებით, მცენარეული ლანდშაფტით საქართველოს ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა. გურიის პეიზაჟი ხასიათდება სიცოცხლის უნარით. გურულები გამოირჩევიან დინამიზმით, იმპულსურობით, გონებამახვილობით, ტემპერამენტით, სიფიცხით, ვერ ეგუებიან დესპოტს და მდიდარი რევოლუციური ტრადიციები აქვთ. ბოლო ორი საუკუნე არსებული წესწყობილების წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გურიაში მიმდინარეობდა აჯანყებები, – მამია V გურიელის, შემდეგ მისი მეუღლის სოფიოს მეთაურობით ცნობილია 1819-1820, 1829, 1841 წლების აჯანყებები. ბრძოლები ქვემო გურიისა და აჭარის დასაბრუნებლად, რუსეთის ჯართან ერთად (1876-1877 წ.) ***1905 წელს გურია საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ცენტრი იყო, – აღნიშნავდა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი.*** აჯანყება ჩაახშვეს, ხოლო მისი მონაწილეები დააპატიმრეს, ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი. სწორედ მებრძოლი გურულების სახეებია

შალვა ძნელაძე კიევის პროფესორებსა და სტუდენტებს შორის (მეორე რიგში – მარცხნიდან პირველი

ასახული შალვა ძნელაძის ნახატებში. ეგნატე ნინოშვილი თავის შემოქმედებაში აღწერდა მებრძოლების და გურული გლეხების ცხოვრებას. მწერალსა და მხატვარს ერთი თემა ჰქონდათ...

შალვა ძნელაძის ნახატები სამ ჯგუფად იყოფა: 1. ფანქრით ნატურიდან შესრულებული ნახატები, მათ მიეკუთვნება ცალკეული ფიგურები, პორტრეტები, „ტიპები“ (გურული „ტიპები“). მხატვრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნოგრაფიულ ხასიათსა და საყოფაცხოვრებო ჟანრს. შალვა კოპწია კუთხის გულმხურვალე მოსიყვარულეა, ასეთივე სიყვარულით გვთავაზობს გურულ ფაცხას, ოდა-სახლს, ნალიას, წისქვილს, ეზოს, ბეღელს, ჭიშკარს, ალაგეს და სხვა. 2. ილუსტრაციებში ასახულია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის ***ჯანყი გურიაში*** პერსონაჟები. 3. გურული ხალხის 1905 წლის რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდები.

მხატვარი ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებების უბრალო ილუსტრატორის როლში როდი გამოვიდა, პერსონაჟები გააცოცხლა, სული ჩაბერა, ააფორიაქა, უსამართლობის, ჩაგვრის, ძალმომრეობის წინააღმდეგ აამხედრა ისინი. ამიტომ თეთრწვერა მოხუცი თუ ულვაშდამშვენებული ახალგაზრდა, ბრგე, შეუპოვარი ვაჟკაცია, ყველას იარაღი აქვს ასხმული, ზოგი საგუშაგოზე დგას, ზოგი ვიღაცას უთვალთვალებს, სადღაც მიეშურება განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად, – ნახატებში რევოლუციური ეპოპეაა აღწერილი, გვთავაზობს რევოლუციონერი გლეხების მთელ გალერეას, თითოეულის სახე გამოირჩევა ინდივიდუალობით – ***ნასაკირალის ბრძოლა, ოზურგეთის ბაზრობა, დამარცხებულნი, ესკიზები ბატონყმობის ეპოქიდან.*** ნახატები რომანტიზმის ნამდვილი ნიმუშებია. თემატურად და განწყობით რომანტიკოსი შალვა ძნელაძე ტექნიკითა და მანერით რეალისტია, მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენლები მოკლებულნი არიან ყოველგვარ გროტესკულ და კარიკატურულ განსახიერებას, რაც მხატვრის დამსახურებაა.

საქართველოს შორეული წარსულიდან ყურადღებას იპყრობს შედარებით მცირე ესკიზები, – ***გიორგი სააკაძე ბრძოლის შემდეგ, კრწანისის ბრძოლის შემდეგ, ბრძოლის წინ, სამი დევგმირი და მრავალი სხვა (შესრულებულია ფანქრით).***

შალვა ძნელაძის ტექნიკა მარტივია, ძირითადად ფანქრით ან წყალში გახსნილი ტუშით ხატავდა, მუშაობდა აკვარელით, ფერად ფანქრებს, ზეთის ფერებს, პასტელს და გუაშის საღებავებს იშვიათად იშველიებდა. მისი პალიტრა უფრო ხშირად მუქი, მოშავო ან მოყავისფროა, ზოგჯერ აკვარელით ნამუშევრებში ღია და ნათელი ფერები აქვს. მხატვრის სურათები სტრუქტურით, ხასიათით, კომპოზიციური აგებულებითა და კომპონენტთა ფუნქციონალობის აქტივაციით ისე ჟღერს, როგორც პატარა მინიატურები, მაგრამ ნოველების მსგავსად, საინტერესო ამბავს გადმოგვცემს. ცნობილი მხატვარი დ. კაკაბაძე და ხელოვნებათმცოდნე ნ. გუდიაშვილი აღნიშნავს, – ***შალვას მიერ შესრულებული მდიდარი მასალა ფართო ტილოებზე არ არის გადატანილი. მიუხედავად ამისა, ოდნავ ვერ ამცირებს ნაწარმოებების მნიშვნელობას და მხატვრულ ღირებულებას.***

1934 წელს საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა მოაწყო 140-მდე მხატვრის ფერწერის, გრაფიკის და ქანდაკებების ნამუშევრების დიდი გამოფენა. შალვა ძნელაძე თერთმეტი წარსდგა, – ***ბატონი და ყმა, ხევსურის სიკვდილი, ურჩი ყმა, სამხედრო თათბირი გურიაში, დამარცხებულნი და სხვა.***

1932 წლის 29 ივნისს შალვა ძნელაძე შერყეული ჯანმრთელობის სამკურნალოდ იალტაში იმყოფება, თავის დას, დარეჯან ძნელაძეს შემდეგი შინაარსის წერილს სწერს (*სტილი დაცულია – ი.ა*):

დარეჯან!

*გწერ ყირიმიდან, მგზავრობა საუცხოო იყო. ბათუმიდან იალტამდე ვიმგზავრე **გრუზია-თი,** შემდეგ კარასანამდე კატერით. **გრუზია-თი** მგზავრობა კურორტზე ცხოვრებას უდრის. შესანიშნავი სალონი, მუსიკა, რადიო, საუცხოო რესტორნები და კომფორტაბელური კაიუტები. კოტე მარჯანიშვილიც ამ გემით მოდიოდა, სად არ ვიცი, თავისი შვილით (ერთი ყმაწვილი ახლდა, სულ მას ჰგავდა. შვილია ნამდვილად). იალტაში დავყავი ერთი დღე, ვცხოვრობდი სასტუმრო **ლენინგრადში**, ჩემი ოთახის აივანი ზღვის მხარეზე იყო. ესეც კურორტია, თუ ფულები გაქვს.*

კარასანი ეწოდება დასასვენებელ სახლს (ვიღაც ყოფილი დიდი მთავარის სასახლე ყოფილა წინად). გაშენებულია მთის კალთებზე, ზღვის ნაპირად. მშვენიერი გუნდის ხეები, ყვავილების ბაღები, ფანტანები და სხვა. უჭირავს ფართობი ერთი კვადრატული კილომეტრი, ამ ტერიტორიაზე მხოლოდ დასასვენებელი სახლების შენობები არის და არავითარი სოფელი მას ახლო არ ახლავს. მარცხნით მოსჩანს კურორტი ქუჩუკლამბარტი, მარჯვნივ კი, პატარა მთის გადაღმა გურზუფია. კვება და მკურნალობა კარგი, ექიმების ზედამხედველობით სასტიკი რეჟიმით. მე ჯერჯერობით თბილი ვანები გამომიწერეს. ხვალ კი, ნევროლოგი გამსინჯავს და თავის მხრივ, ისიც დაუმატებს რაიმეს ნამდვილად. ფილტვების ზედა კიდეებშიც აღმოაჩინეს რაღაც. ეხლა, როდესაც ძალიან დამჭირდა, მაშინ გამახსენდა ჩემი დაკარგული 600 მანეთი და ბრაზი მომდის, როგორც ვატყობ, არ შეერგება ქურდებს.

კურორტი ბახმარო, შალვა ძნელაძე მეგობრებთან ერთად (მარცხნიდან სხედან: ბიძინა რამიშვილი, შალვა ძნელაძე და თამარ გოგიბერიძე)

ნიკო ბერძენიშვილის პორტრეტი
შ. ძნელაძის ნახატი

დარეჯან, ეხლა მინდა ფული გთხოვო, თუ არ გეწყინება. მალე ვერ გადაგიხდი, რომ დაგპირდე, ტყუილი იქნება... სექტემბრის შუა რიცხვებამდე გაძლევ პატიოსან სიტყვას გადაგიხდი, ჯამაგირის მიღებისთანავე. შენ, თუ გაქვს, რასაკვირველია, არ დაიშურებ და თუ არ გაქვს, ისესხე ერთი ხუთმეტი თუმანი და გამომიგზავნე. ხუთმეტი მეყოფა და მერმე რაღაცას გავახერხებ. აქედან 100 მანეთი ხომ სამგზავროდ დამჭირდება და ხუთი თუმნით ერთი რვა დღეს მაინც დავრჩები კიდევ თვარა არ ვიცი, რა მომელის. მე ისედაც დავაგვიანე, დამრჩა რაღაც 19 დღე. მკურნალობის კურსი კი, რომ გაიარო ერთი თვე მაინც საჭიროა და რა ვიცი, რა მომივა ზამთარში.

უახლოესი ადამიანისადმი გაგზავნილი წერილი უკანასკნელი აღმოჩნდა, შალვა ძნელაძის მკურნალობის კურსი უშედეგო იყო. ფილტვებში დაბუდებული სენით დაავადებული მხატვარი 1934 წლის სექტემბერში გარდაიცვალა. დაკრძალულია ჩოხატაურის საგვარეულო სასაფლაოზე.

ოჯახში გაგზავნილ სამძიმრის წერილებში ცნობილი მხატვრები – ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, კორნელი სანაძე, ლადო გრიგოლია, პროფესორი ნიკო ბერძენიშვილი და სხვები დიდ გულისტკივილს გამოთქვამდნენ. ჟურნალმა ***ოქტომბრელმა, დროშამ, გაზეთმა ლიტერატურულმა საქართველომ*** გამოაქვეყნა ვრცელი წერილები. პოეტმა კარლო ძნელაძემ შალვას ლექსი-ეპიტაპია მიუძღვნა:

მიყვარდა ჩემი წუთისოფელი,
ვარდ-ყვავილებით, წმინდა წყაროთი.
მიყვარდა მხოლოდ ხალხი მშრომელი,
მხოლოდ გურიის მთებს შევხაროდი.
ჩემი გმირები კვლავ მანდ არიან,
ჩემივე კალმით დახატულები,
ხან თოხით ხელში მიიჩქარიან,
ხან საბრძოლველად აკალთულები!
მე კი მიწა ვარ... უკვე ჩემს ღიმილს
თქვენ მოგფენთ სუნთქვა გაზაფხულისა,
ჩემი სამარის ვარდებში ღვივის,
ჩამქრალი ცეცხლი ჩემი გულისა!
მიწა ვარ! მაგრამ მსურს კვლავ რაც მსურდა,
მზეს ვეძებ, ზეცის ნამი მწყურია!
ჩემი პატარა გულ-მკერდიც მუდამ,
ყვავის აქ, როცა ყვავის გურია.

ფართო საზოგადოება მის შემოქმედებას არ იცნობს. საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა შექმნა კომისია, მხატვრის ბინაში დაათვალიერეს სურათები, შეარჩიეს ავტორისათვის დამახასიათებელი ნამუშევრები და სამხატვრო გალერეას გადასცეს. გამოფენა გაიხსნა 1935 წლის 18 აპრილს, წარმოდგენილი იყო 240 ნამუშევარი.

გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლისთავზე გაზეთმა ***ლიტერატურა და ხელოვნება*** 1949 წლის 11 სექტემბერს გამოაქვეყნა გ. გუდიაშვილის ვრცელი წერილი, – ***შალვა ძნელაძე***. მისი შემოქმედება აღწერა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა და ხელოვნებათმცოდნემ ბ. გორდეზიანმა, – ***ქართული გრაფიკა***. ხელოვნებათმცოდნე იგორ ურუშაძემ მოამზადა ნაშრომი, – ***ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება.*** 1965 წელს ვლადიმერ ქიქოძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია ***შალვა ძნელაძე,*** სადაც შედგენილია ნახატების კატალოგი, წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ნახატი და ბიოგრაფია. 1975 წელს ქალაქ მოსკოვში ვ. ბერიძის და ნ. ეზერსკაიას ავტორობით გამოიცა მოზრდილი ნაშრომი, – ***საბჭოთა საქართველოს ხელოვნება***, 117-121-ე გვერდზე განთავსებულია შალვა ძნელაძის შემოქმედება.

ქართველი ხელოვნებათმცოდნეები და კრიტიკოსები შალვა ძნელაძის ტალანტს, მის ორიგინალურ და საინტერესო შემოქმედებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული გრაფიკული ხელოვნების განვითარებაში. ვლადიმერ ქიქოძე აღნიშნავს, – ***შალვას მდიდარი მემკვიდრეობა მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას და განზოგადებას, რაც საზოგადებას საშუალებას მისცემს, მის შემოქმედებას უფრო ახლოს გაეცნოს.***

2018 წლის 5 მარტს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა – ***შალვა ძნელაძე 125.*** საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გამოსცა მხატვრის შემოქმედების ამსახველი ალბომი. წარმოდგენილია შალვას ნამუშევრების რეპროდუქციები და ფოტომასალა, წიგნის კონსულტანტი და თანაავტორია ილია ძნელაძე, წინასიტყვაობა მოამზადა ხელოვნებათმცდნეობის დოქტორმა ირინე აბესაძემ.

შალვა ძნელაძის შემოქმედებას არ დაუკარგავს აქტუალობა. მეტიც, ეს ის მხატვარია, რომელიც ელის დამფასებლებს მომავლიდან, რადგან ძირითადად შავი და თეთრის მონაცვლეობით, შესძლო სიცოცხლის მრავალფეროვნების ამეტყველება...

ირინე აბესაძე, ლევან ძნელაძე,
ზურაბ სიხარულიძე და გურამ ბერძენიშვილი

რედაქციისგან: ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით შალვა ძნელაძის შთამომავალს, ბატონ ილია ძნელაძეს.


ბახმაროს პეიზაჟი, შ. ძნელაძის ნახატი

სიყვარული თავად არს ღმერთი...

ნოდარ დუმბაძე თითოეული ქართველისათვის საყვარელი შემოქმედია. მწერლის ნაწარმოებები სავსეა სიყვარულით, ჰუმანიზმით, იუმორით, თუმცა ამ იუმორშიც დიდი სევდა არის ჩადებული. მისი შემოქმედება მკითხველმა ზეპირად იცის, სხვადასხვა ფრაზები კი აფორიზმებად და ანდაზებადაა ქცეული...

გავუფრთხილდეთ სიტყვებს. სიტყვაა ის, რითაც გული კვდება და ფეთქავს. სწორედ ის სიტყვა არ დაბრუნდება, რომელიც ალბათ, არ უნდა გეთქვა.

ადამიანი ყველაფერს შეიძლება შეეგუოს, – უხარისხო ფეხსაცმელს, ტანისამოსს, უფრო მეტიც, ადამიანმა შეიძლება გაუძლოს შიმშილს, სიცივეს, სიღატაკეს, მაგრამ სულიერ სიღატაკეს ვერასდროს შეეგუება.

კაცი რომ დედაზე შეიგინება, იგი ჩასუნთქვის ღირსიც არ არის!..

ჩემი სიცოცხლე სიყვარულით გარდაცვლილი სულით საზრდოობს... უკვე რამდენი ხანია, დედამიწაზე სიძულვილით უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე სიყვარულით. დედამიწაზე დაიშრიტა წყარო ჩემი მაცოცხლებელი სიყვარულისა, დადგა ჟამი ჩემი გარდაცვალებისა. ***გააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით...***

პატიოსნება გრიპი არ არის, რომ ორ ან სამ თვეში გაგიაროს, პატიოსნება უკურნებელი და გადამდები სენივით უნდა გვჭირდეს და მასთან ერთად ჩავიდეთ სამარეში!..

არაფერი არასოდეს ისე სამარცვინოდ და თავის მომჭრელად არ ითვლება საქართველოში, როგორც უპატიოსნობა და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, ქურდს მეგრულად მახინჯი ჰქვია და ეს მახინჯი საქართველოში ერთიც რომ იყოს, მაინც უნდა გადაშენდეს, რამეთუ ანდაზა ღაღადებს, – ***ას მშენებელს ერთი მნგრეველი აუთავდებაო.***

რაც არ უნდა შეგემთხვეს, არ უნდა წახდე, კაცობა არ უნდა დაკარგო, იმიტომ რომ ბოლო ერთია. კაცი საფლავზე დადებული ქვით კი არ ფასობს, აქ დატოვებული სახელითა და სულით.

სიყვარული თავად არს ღმერთი, და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი...

ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე ულმობელი, როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია. ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა.

ღმერთმა მოქალაქეს ტალახიდან ადამიანის კეთება კი ასწავლა, მაგრამ სულის შთაბერვა არ ასწავლა. ეგეც რომ ესწავლებინა, ადამიანი ღმერთს არ იწამებდა.

კაცი რომ სხვის სალოცავს დაანგრევს, თავისი სალოცავი იმაზე მაღალი, იმაზე მედგარი და იმაზე ლამაზი უნდა ააგოს...

ყველაზე მეტი ენა მსოფლიოში ღმერთმა იცის, ყველას თავის ენაზე ელაპარაკება.

ერი და ერისკაცი ერთმანეთს ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ...

ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არ არის, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ. სამშობლო ტაძარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან. ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ, და კიდევ ერთი შესაწირავის მიტანა ვერ მოგასწროს ამ ტაძართან.

სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული.

ადამიანი ტაძრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ ერთ განზომილებაში უმზირო, ან მოშალო. მას ირგვლივ უნდა შემოუარო და იმ მხრიდან უმზირო, საიდანაც ლამაზია.

ყველაფერს აქვს ქვეყნიერებაზე დასაწყისი და დასასრული. ბაბუა, მე დღეს თუ ხვალ გავთავდები. უბედურებაა, როდესაც კაცი შეუცნობელში მიდის. ამიტომ არ მეშინია, მაგრამ შენ არ შეშინდე ბაბუა... თუ არაფერში მივდივარ, საშიში არაფერია, რადგან არაფერში არაფერი არ არსებობს. თუ მართლა უნდა გარდავიცვალო და მეტი არაფერი, მითუმეტეს არ უნდა შეგეშინდეს, ისევ ამ ქვეყნად დავრჩები და სხვა სახით მოვალ, მარტო არ დაგტოვებ. თუ რაიმე სითბო, სიხარული და სიყვარული იგრძენი, ქვაც რომ იყოს, ის ქვა ბაბუაშენია. ამიტომ მარტოობის არ შეგეშინდეს, არ იფიქრო მარტო ვარო.

ქართველები რბილი ხალხია, ჭკვიანი, ალერსიანი, სიმღერა უყვართ, დედის გინებისათვის შეიძლება კაცი მოკლან, უყვართ ამხანაგი. ამხანაგისთვის სახლს გაყიდიან, ოღონდ შენც სამაგიერო სიყვარულს გთხოვენ. ქართველები თუ დედას იფიცებენ, ხატზე დაფიცებას უდრის, და კიდევ მეტს... თავისი ქვეყანა სიგიჟემდე უყვართ, საქართველოს სადღეგრძელოს რომ ამბობენ, ხანდახან ტირიან კიდევაც. საქართველო სამოთხესავით ქვეყანაა...

საქართველო ლამაზ და ჯიშიან ბედაურს ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულ ბედაურს. თან ისე ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილას არის დაბმული, ყველას უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინით და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე, მხოლოდ ღირსეულებს თუ შეიჯენს ზურგზე, იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, იმათაც გადმოაგდებს და ძირს დაანარცხებს. ბევრი მინახავს ასეთი. ხანდახან უცნაური გრძნობა შემიპყრობს, – ***მინდა ისეთი ერის პატარა შვილი ვიყო, დამოუკიდებლობის პრეტენზია რომ მქონდეს, ხოლო სხვას, ჩემი ქვეყნის დაპყრობის სურვილიო. რა ბედნიერი იქნებოდა ასეთი ყოფნა!..***

დაბადება თავისთავად არის უსაზღვრო ლტოლვა თავისუფლებისაკენ და სინათლისაკენ, რა ძნელია და მტკივნეული ეს პროცესი. მხოლოდ მშობიარე ქალმა იცის... ჩვენ ხშირად ვხვდებით ამ პროცესის მოწმენი, მაგრამ ამაზე არასოდეს გვიფიქრია.

ცხოვრება მესაათის ბუდრუგუნას ჰგავს, ჩვენ, ადამიანები მის ვიტრინაში გამოფენილ შესაკეთებელ, სხვადასხვა ფორმის, ჯურის, ფირმის. ზომის, წონის და მექანიზმის მქონე საათებს. ზოგი მათგანი უზომოდ გაცვეთილი და მოშლილია სამუდამოდ. ზოგი წინ გარბის, ზოგი უკან რჩება, ზოგს ზამბარა აქვს გაწყვეტილი... ზოგს რა ჭირდება და ზოგს რა... ზოგი რა დეტალის გამოცვლას საჭიროებს და ზოგი რისას. ერთ მარადიულ, უზარმაზარ, უზომო ჟამში, ღვთაებაში გაჩერებულია, წიკწიკებს, თითოეული ჩვენთაგანი ვითარცა ჟამთა აღმწერელი და აღმნუსხველი. მესამე კი ვითარცა ღვთაება ზის, ხელის გულზე უდევს ჩვენი ერთი ციცქნა სხეული, უზარმაზარი ღვთიური თვალებით, გამადიდებელი შუშით გვათვალიერებს დიდხანს, ხანდახან არც თუ ისე დიდხანს, ხანდახან უბრალოდ დაგვხედავს და თუ სთქვა, – ***ამას აღარაფერი ეშველებაო და გვერდზე გადასდო, გათავებულია ჩვენი საქმე.***

მე მზე მიყვარს ძალიან, მაგრამ მზე მიწაში ვერ აღწევს, ამიტომ ბუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მიწას კი არა, ცას მივაშურო – ცაში წავიდე!..

ნოდარ დუმბაძე

სახლი, რომელიც ბევრ მოგონებას ინახავს...


ნოდარ დუმბაძე

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი

ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობა

გარემოს დაცვა მდგრად მომავალზე არის ორიენტირებული, მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაში, თუნდაც ათი, ოცი წლის შემდეგ, რა იქნება და როგორ განვითარდება... საქართველოს კანონში დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ აღნიშნულია, – დაცული ტერიტორიები იქმნება მნიშვნელოვანი ეროვნული მემკვიდრეობის, უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული ადგილების დასაცავად. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოფილმა თავმჯდომარემ ლაშა მოისწრაფიშვილმა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამული ოფისის დაფინანსებით პროექტის – Preparing text of the Possible Draft Law on the Establishment of Pontik Oak (Quercus pontica) Protected Area, For Subsequent Consideration by the Georgian Autorities ფარგლებში შეისწავლეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პონტოს მუხის დაცული ტერიტორიის დაარსება, კერძოდ, ტერიტორიის პირველადი შეფასების დროს რეგიონში პონტოს მუხის გავრცელების არეალის კვლევა. ამ ეტაპისთვის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მომზადებულ კანონპროექტს – პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნის და მართვის შესახებ 2018 წელს დაამტკიცებენ.

ლაშა მოისწრაფიშვილი

– საქართველო არის გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციის (IUCN) წევრი ქვეყანა, აქ გავრცელებული უნიკალური ბიომრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ჰაბიტატები და კულტურული მემკვიდრეობა მაღალ დონეზეა დაცული. ბახმაროს უღელტეხილზე ჩაატარეთ სამეცნიერო კვლევა, გურიაში პირველი დაცული ტერიტორია უნდა დაარსდეს...

– დაცული ტერიტორიის შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტ განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი ან სახეცვლილი ტერიტორიების დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას, ასევე ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. გურიაში დაცული ტერიტორიის დაარსების მიზანია, უზრუნველყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით საქართველოს „წითელ ნუსხაში“ და „გლობალურ წითელ ნუსხაში“ შეტანილი გადაშენების პირას მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება. ასევე უზრუნველყოს პონტოს მუხას მიკუთვნებული მიწის, წყლის, ცხოველთა სამყაროს და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ბუნებრივი და ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა, აღდგენა და მონიტორინგი.

– პონტოს მუხის დიდი კორომები მხოლოდ ბახმაროს უღელტეხილზე გვხვდება ...

– პონტოს მუხის პოტენციური დაცული ტერიტორია მოიცავს ეროვნული სატყეო სააგენტოს ჩოხატაურის სატყეოს მჟავე წყლის უბნის 541 ჰექტარს. იგი მდებარეობს ბახმარო-ჩხაკოურას შემაერთებელი საავტომობილო გზის სიახლოვეს, ლაშის მთის მცირე მონაკვეთზე, მდ. თელვანის ღელეს და ძეგველას ღელეს შემოგარენში. მისი გავრცელების სიმაღლე მერყეობს ზღვის დონიდან 1394-1833 მ-ის ფარგლებში. პონტოს მუხა არის მაღალი ბუჩქი ან პატარა ხე. საქართველოში მისი გავრცელების არეალი აფხაზეთიდან იწყება, აჭარა-გურიაში გრძელდება და თურქეთში კარჩხალას, მურღულისა და პონტოს მთების კალთებს აღწევს. პონტოს მუხის საზღვრები ზღვის დონიდან 850-1850 მ-ის ფარგლებში მერყეობს. საქართველოში მცირე ჯგუფებად ან ეგზემპლარებად არის წარმოდგენილი. მაგალითად, კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე, მაჭახელასა და მტირალას ეროვნული პარკების მიდამოებში. ჩატარდა სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა. გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში მოეწყო პროექტის წარდგინება.

– რა აჩვენა სამეცნიერო კვლევამ?

– პროექტის ფარგლებში დაზუსტდა პონტოს მუხის პოპულაციის საზღვრები, კორომი მოხვედრილია წიფლნარ, სუბალპურ მეჩხერებსა და ტანბრეცილი ტყეების სარტყელში. მცენარეული საფარი ყომრალ ნიადაგზეა განვითარებული, პონტოს მუხა ვრცელდება კარგად განათებულ, სამხრეთისაკენ გადაშლილ ფერდობებზე (სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციაზე). წარმოდგენილია ოთხი ფორმაციის სახით: 1. პონტოს მუხის კორომი, რომლის შექმნაში მცენარის სხვა სახეობები არ მონაწილეობენ (წმინდა კორომი); 2. კოლხური ტიპის შერეულ ტყეში შექმნილი ფორმაცია; 3. ფორმაცია წიფლნარ ტყეში კოლხური ტიპის ქვეტყით; 4. არყნართან შერეული ფორმაცია; ამ არეალში, დილის თერთმეტი საათიდან შუადღემდე სულ ნისლია, გვხვდება ჭარბტენიანი ადგილები, რაც მნიშვნელოვან ჰაბიტატს ქმნის.

– რომელ კატეგორიას მიეკუთვნება?

– კვლევის საფუძველზე აღკვეთილის კატეგორიის სტატუსი მიენიჭა. აღნიშნული კატეგორიის დაარსება ხელს შეუწყობს ბუნებრივი ან სახეცვლილი ტერიტორიე-

ბის დაცვას, აღდგენას და გონივრულ გამოყენებას. სამუშაო შეხვედრებზე, ადგილობრივებმა და თვითმმართველი ორგანოს წარმომადგენლებმა პონტოს მუხის აღკვეთილის დაარსებას მხარი დაუჭირეს. სასურველია, გაგრძელდეს მის გარშემო არსებული ტყეებისა და სუბალპური მდელოების შესწავლა. წინასწარი შეფასებით, აღნიშნულ ტერიტორას აქვს დიდი პოტენციალი, მომავალში შეიქმნას ეროვნული პარკის ან დაცული ლანდშაფტის კატეგორია, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა მართავს. თუ ადგილობრივები ინტერესს და მზაობას გამოიჩენენ, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში ადგილობრივებმა მოგვმართეს წერილობით, სურდათ ეროვნული პარკის შექმნა. შეიქმნა სპეციალური კომისია, ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და დაარსდა ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი.

– ბატონო ლაშა, რას საქმიანობთ ამჟამად?

– ამჟამად ვარ დამოუკიდებელი კონსულტანტი, ვთანამშრომლობ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამულ ოფისთან და აიპ თუშეთის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან. ვამზადებ დაცული ტერიტორიების დაარსების წინასწარი შეფასების ანგარიშებს და შესაბამის კანონპროექტებს.

– როგორ მიმდინარეობს დაცული ტერიტორიის დაარსების პროცესი?

– პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს საკვლევი ტერიტორიის ძირეული შესწავლა, დაზუსტდეს, თუ რა ტერიტორიაზეა შესაძლებელი დაცული ტერიტორიის შექმნა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭება. აუცილებელია, ადგილობრივებთან შეხვედრა და ინფორმაციის მიწოდება, თუ რომელი კატეგორია შეიქმნას და რა შედეგს მოუტანს. მათი მხარდაჭერის შემდეგ მზადდება საბოლოო დასკვნა და კანონპროექტი, რომელიც რეკომენდაციის სახით ეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. შემდეგ კანონპროექტს სამინისტრო ათანხმებს მთავრობასთან და დასამტკიცებლად იგზავნება საქართველოს პარლამენტში. ასე რომ, დაცული ტერიტორიის შექმნა ხანგრძლივი პროცედურა და დიდი ფუფუნებაა.

– რა პროექტებზე მუშაობთ?

– ვმუშაობ დოკუმენტებზე – სამეგრელოს რეგიონში (წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მარტვილის ტერიტორიებზე) ეროვნული პარკის შექმნის შესაძლებლობა, ასევე ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოების შესაძლებლობა, რაჭისა და ერუშეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ კანონპროექტებზე, რიონის აღკვეთილის კანონპროექტზე.

– ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა ბახმაროს სამთო-სათხილამურო პროექტი. როგორ წარიმართება ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კვლევა და პროექტის განხორციელება?

– შესაძლოა აღნიშნული პროექტი და დაცული ტერიტორია ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს. შუაში მოეწყოს სათხილამურო კურორტი, თავისი სათხილამურო ბილიკებით, ირგვლივ კი, დაცული ტერიტორია დაედგმება გვირგვინად. ბახმაროში უნიკალური ბუნებაა, ეროვნული პარკის შექმნა ხელს შეუწყობს ბახმაროს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

– ბახმაროს არ ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები...

– თუშეთშიც არ იყვნენ მუდმივი მცხოვრებლები, მაგრამ ავიდნენ და დარჩნენ, მიტოვებულ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, რაც ეროვნული პარკის დამსახურებაა. როცა 2006 წელს ავედი, ერთი საოჯახო სასტუმრო იყო, დღეს თუშეთში სამოცამდე სასტუმროა. აქტიური სეზონი სამი თვე გრძელდება, ეკოტურიზმიდან შემოსული შემოსავალი მილიონ 500 ათასს აღწევს. დამეთანხმებით, სოლიდური ციფრია. საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიები ხვდება საერთაშორისო ქსელში. როდესაც უცხოელი ვიზიტორი არჩევანის წინაშე დგას, თუ სად იმოგზაუროს, საერთაშორისო კატეგორიის ეროვნულ პარკის არსებობა უადვილებს გადაწყვეტილების მიღებას, რადგან უკვე იცის, იქ, მას უნიკალური და ხელუხლებელი ბუნება დახვდება.

– ვისთვის არის მიუღებელი დაცული ტერიტორიის შექმნა?

– მხოლოდ ბრაკონიერებისთვის, უკანონო ნადირობა, უკანონო ტყის ჭრა კანონმდებლობით აკრძალულია, მნიშვნელობა არა აქვს, ის ტყის ფონდის ტერიტორიაზე იმყოფება თუ დაცულ ტერიტორიებზე. რეალურად, კანონით არსებული ექვსი კატეგორიიდან, ეროვნული პარკი არსებულ ვითარებას საუკეთესოდ მოერგო. ეროვნულ პარკში შესაძლოა მოეწყოს შვიდი სახის სხვადასხვა ზონა – ტრადიციული გამოყენების, მკაცრი დაცვის, აღდგენითი, ვიზიტორთა, ისტორიულ-კულტურული ზონები, რომლებსაც ადმინისტრაცია ხალხთან ერთად მართავს. ტრადიციულად გამოყენების ზონაში დაშვებილია განახლებადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, – თიბვა, ძოვება, შეშის დამზადება, სოკოს, კენკროვანი ხილის შეგროვება, არ გასხვისდება, არ განადგურება, მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ადგილებში ინვესტორი მხოლოდ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას განავითარებს.

– ეროვნულმა პარკმა აღიარება მოიპოვა, შეიძლება ითქვას, უკვე ბრენდია...

– ეროვნულ პარკში, დაცული ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ რეინჯერს დასაცავად 300-დან 1000-ჰექტრამდე ფართობი გადაეცემა, დაცული ტერიტორიების რეინჯერს ბევრი მოვალეობა აქვს, – დაცვა, მონიტორინგი, პატრულირება, ვიზიტორებთან ურთიერთობა, ხანძრებთან ბრძოლა. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გაუმჯობესებას. მაგალითად, მარტვილში 2010 წლამდე არცერთი რესტორანი არ იყო, ახლა სამი დიდი რესტორანი და სამი სასტუმროა, მიმდინარეობს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობები. მარტვილის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე 45 ადამიანია დასაქმებული,

პონტოს მუხა

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციაში 25 თანამშრომელი ჰყავთ, არიან მენავეები, მეიჯარეები, მაღაზიის მეპატრონეები, ასე რომ, მარტვილი გამოცოცხლდა. წყალტუბოში პრომეთეს მღვიმეს რეკორდული რაოდენობის ვიზიტორი ჰყავს, კარგი მაგალითია ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი. დაცული ტერიტორია იცავს ბუნებას და ადგილობრივებისთვის დამატებითი სიკეთე მოაქვს. როგორც გურულს, ჩემი სურვილია, ბახმაროს განვითარებაშიც ჩემი წვლილი შევიტანო. ბახმაროში ეროვნული პარკი დაარსების სურვილი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF) არაერთხელ გამოთქვა, მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

– რამდენი დაცული ტერიტორიაა და რა ფართობს მოიცავს?

– დღეს საქართველოში (IUCN) კრიტერიუმების მიხედვით) 88 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაა, კერძოდ, თოთხმეტი სახელმწიფო ნაკრძალი, თერთმეტი ეროვნული პარკი, ორმოცდაორი ბუნების ძეგლი, ცხრამეტი აღკვეთილი და ორი დაცული ლანდშაფტი. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 597 556 ჰა-ს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 8.57%-ია, აქედან, დაახლოებით 75% ტყით დაფარული ფართობია, დანარჩენი წარმოდგენილია ალპური მდელოებით, ჭაობებით, ნახევარუდაბნოთი, ზღვის აკვატორიით და სხვა. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ცენტრალურად მართავს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ხოლო ადგილზე, რეგიონების მიხედვით ტერიტორიული ადმინისტრაციები. დღეს, სულ ოცი ტერიტორიული ადმინისტრაციაა, იქვე არის განთავსებული ვიზიტორთა ცენტრები, სადაც შეუძლია სასურველ დროს ეწვიონ და მიიღონ საჭირო ინფორმაცია კონკრეტული დაცული ტერიტორიის შესახებ.

რედაქციისგან: ჟურნალ გურიაREGION მარტის ნომერში დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი არასწორად იყო მითითებული, მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

ლელა სურმავა

ბახმარო

ბახმარო მთის სახელია, სადაც უწინ ამოდიოდნენ და ახლაც ამოდიან მეგრელი მწყემსები.

– როგორ გადაიქცა ბახმაროს მთა სააგარაკო ადგილად და რა რიგია მისი აწინდელი ყოფა? უეჭველია, ბახმაროს ერთ დროს თავისი მეისტორიეც გამოუჩნდება, ჩვენც ვეცდებით აქ ხელმისაწვდომ ვყოთ ყველასათვის ის ცნობები, რომლებიც ადგილობრივ შევკრიბეთ. მოგახსენებთ ხალხში დარჩენილ მისი სახელწოდების ამბავს, რომელსაც, ცოტა არ იყოს, რომანიული სარჩული აქვს. ამბად არის დარჩენილი, – ერთ აჭარელს გურიაში ერთი ლამაზი ქალი მოუტაცია, ქალს სახელად მარო ერქვა, მომტაცებელს მდევრები გამოსდგომია და დასწევიან კიდეცა სწორედ ბახმაროსთან. აჭარელს გადაუწყვეტია, ეს არის წამართმევენ ჩემი გულის დამტყვევებელს, რაკი მისი ალერსითა და სიყვარულით მე ვერ დავტკბები, ნურც სხვა გაიხარებსო, და ეგოისტ არშიყს თავისი მშვენიერი ტყვე მოუკლავს და მდევართათვის ოსმალურად დაუძახნია, – ბახ (ნახე) მაროი (მარო – სახელია ქალისა), ესე იგი, აი, მოვკალი და მიდით, ნახეთ, რაც გინდათ, ის უყავითო. ეს ერთი ფურცელი გახლავთ ბახმაროს ისტორიისა, იმ ბახმაროში, რომელიც მოწამე იყო აურაცხელი სისხლისღვრისა და მოტაცებისა, რადგან ზემო აჭარა ამ გზით უერთდება გურიასა და ამ ბახმაროზე გადაჰყავდათ ტყვეები და გადაჰქონდათ ნადავლი.


ბახმარო

ბახმაროს მთები მთელ გურიაში განთქმულია თავისი საზაფხულო, ალპური საძოვრებითა და მდიდარი ტყეებით. ეს 30,000 დესეტინის სივრცის ადგილი საკუთრება იყო გურიაში ცნობილი თავადიშვილების – ერისთავებისა. ხოლო დღეს პატრონად გამოუჩნდა ხაზინა. საგულისხმოა, ასეთი სიმდიდრის გადასვლა ერთი პატრონისაგან მეორის ხელში, უფრო საგულისხმოა ზოგიერთი ვაჟბატონის ქცევა, რომელნიც ამ საქმეში თვალსაჩინო როლსა თამაშობდნენ. საქმე ის გახლავთ, ამ უშველებელ, ერთიან მამულს ერისთავები უხსოვრის დროიდანვე ფლობდნენ. მოდავე არავინა ჰყოლია ამ გვაროვნებას და არც არავის ფიქრად მოუვიდოდა, ამათ შედავებოდნენ. **მაშ, როგორ მოხდა! – იკითხავს გაოცებული მკითხველი. მოგახსენებთ...**

ერთ ზამთარს, როცა ბახმაროსა და მის მიდამოებში ნადირის მეტი ძე ხორციელი არავინ დადიოდა, ადგილობრივმა მეტყევემ ბ-ნმა ი. ქ-ძემ თავისი დარაჯები ჩააყენა ბახმაროს ტყეში, ექვსი თვის განმავლობაში აქ აცხოვრა და მერე, როგორც სახელმწიფო ქონების წარმომადგენელმა, სოფელ ხიდისთავში (გურიაში) არხეინად მყოფ ერისთავებს, პატრონებს ბახმაროისას, დავა აუტეხა, – **ეს მამულები სახაზინოა და უფლება არავითარი გაქვთ მისი სარგებლობისო.** ერისთავებმა ჯერ სერიოზულად არც კი შეხედეს, ამ, მათი აზრით, უსაბუთოდ ატეხილ დავას. რა საბუთით წაგვართმევს მამა-პაპიდან გადმოცემულ ქონებასო?! ხოლო ბ-ნ ქ-ძეს საბუთი მამულის წართმევისა ჰქონდა და ამ საბუთსაც რუსეთის კანონმდებლობაში **„მფლობელობის უფლებას“** ეძახდნენ... ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში უკვე გაირჩა, შარშანდელი წლის აპრილის თვეში და ერისთავებმა წააგეს. საქმე ახლა პალატაშია გადატანილი და უწინდელი პატრონები თავის უფლებას ამტკიცებენ.

გურიაში როდის მიაქციეს ბახმაროს ყურადღება, როგორც სააგარაკო ადგილს? – სულ არ იქნება შვიდი-რვა

წელიწადი, ისიც სრულებით შემთხვევით. ამ ზაფხულობით ამომავალ მეგრელ მწყემსებს სოფელ გურიანთას მცხოვრებ ძმათა ქარცივაძეთაგან ერთ ზაფხულს ერთ-ერთი ძმა ამოჰყავდა „საჰაეროდ“, გურიანთის ციებისაგან განსაკურნებლად. მთის ჰაერმა, საუცხოო წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია „მოჰაერეზე“ და ციებისაგან შვება-მიცემული ჩამოვიდა ბარად. მეორე ზაფხულს ძმა ამოიყვანა, ისიც მოკეთებული დაბრუნდა. მერე სხვებს ურჩიეს. ამ სახით, პიონერებად ქარცივაძენი ითვლებიან. პირველი სახლი ხისა აქ ნიკიფორე ქარცივაძემ წამოსდგა. მას სხვებმაც მიჰბაძეს, სატყეო უწყების აგენტს სამოსახლო ადგილები სთხოვეს, იმანაც თითოეულ მთხოვნელს ორასი ოთხკუთხი მხარი მიწა მოუზომა ორ მანეთად წელიწადში. მერე ექიმიც ამოვიდა ბახმაროზე, შეამოწმა ამ აგარაკის კარგი, ციების საწინააღმდეგო თვისება და თავის პაციენტებს ურჩია ამოსვლა. ამან უფრო წააქეზა ხალხი და მიაშურეს, ამ სახით, იქ, სადაც ამ შვიდი-რვა წლის წინ ორად-ორი სახლი იყო, დღეს სამოცზე მეტი სააგარაკო სადგომია წამოდგმული. მათ შორის ცხრა დუქანიცაა. თვით ბახმაროს საუკეთესო ადგილას, იქ, სადაც დღეს თ. ივ. მაჭუტაძეს სახლი აქვს და მასთან ერთად ორ-სამ სხვას. 1890 წელს მწყემსს, ვინმე ღვინჯილიას საქონელი ეყენა და მწყემსური ქოხი ედგა. სამოსახლო მიწების შოვნა თანდათან ჭირდება. ზოგი ორ ნაჭერს იღებს, რაკი იაფია, – ხალვათად ვიცხოვრებთო.

სახლები აქ, როგორც ვთქვით, ფიცრულია. ხუროებად მოდიან ვაკე-ჯვრელები და აჭარლები. ოთხთვალ სახლს და სამზარეულოს (ცალკე) სამას მანეთად დაგიდგამენ თავისი მასალით, ორთვალს ას-ასორმოცდაათ მანეთად. მასალას იქვე, გვერდით ყიდულობენ თვითონ ხუროები სახელმწიფო ქონებათა უწყებისაგან. ზოგ სახლს ბუხარიცა აქვს, ეს კია, ერთი პირი ოცდაათი მანეთი ჯდება. ერთი აგურხანაც გაუკეთებიათ. ბუხარი კი აქაურ სახლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რადგან ხანდახან, როგორც შარშან, ძალზე ცივა, სითბო ზოგჯერ რვა-ექვსი გრადუსია.

ბახმაროს მთის ჰაერით სამკურნალოდ ჯერ-ჯერობით ამოდიან გურიის ვაკე-ადგილების ციებით დაავადებული ოჯახობანი. მომსვლელთა რიცხვი, ყოველ წლობით მატულობს, მაგალითად, შარშან ზაფხულს 1,000 სული მოჰაერე იყო. ამოსვალა შეიძლება მხოლოდ ცხენით. თან მოაქვს ყველას საბან-გობანი და სურსათი, რადგან აქ სასტუმრო არ არის. უმეტეს შემთხვევაში ყოველ ოჯახობას თავისი საკუთარი სახლი აქვს. იშვიათად თუ ვინმე ჰქირაობს ოთახსა. სეზონში (თვენახევარი) ერთი ოთახი 20-25 მანეთი ფასობს. შარშან გასაქირავებელიც არ იყო ოთახი.

ცხოვრება, შედარებით, ძვირია, რადგან ბარიდან (ოზურგეთიდან) ამოტანა სურსათისა ძვირი ჯდება. ჩალვადრებს ფუთ საქონელზე მარტო ამოტანის 50 კაპიკი მიაქვთ. არის აქ ცხრამდე დუქანი, სადაც თითქმის ყველა სანოვაგის შოვნა შეიძლება. სამი-ოთხი კაპიკით მეტი ღირს აქ საქონელი, ვიდრე ოზურგეთში. მაგალითად, გირვანქა შაქარი ოზურგეთში სამი შაური რომ ღირს, აქ 18 კაპიკად ფასობს. პური გირვანქა – 6 კაპიკი. მერე კარგი პურის შოვნაც ძნელია. მეტად ცუდ პურს აცხობენ აქაური მეპურენი. მეგრელ მწყემსებისაგან საკლავს იშოვით, ოყა ხორცი 20 კაპიკია. შემოაქვთ სულგუნი (გადაზელილი ყველი) თითო 10-12 კაპიკი, რძე ბოთლი ორ შაურად. კარაქი და ერბო აჭარელ მწყემსებს მოაქვთ მახლობლებიდან.

საზაფხულო სეზონი ბახმაროზე იწყება თიბათვის ოცის შემდეგ, ამაზე ადრე აქ არ ამოისვლება, – ძალზედ ცივა. ხანდახან, როგორც შარშან თორმეტ თიბათვეს თოვლი მოსულა, სეზონი მარიამობისთვის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ღამე სიცივეები იცის, სითბო ხშირად რვა გრადუსამდე დასულა, ოცდათორმეტი გრადუსი სითბო აქ მაქსიმალურია. შარშანწინ ყოფილა ასეთი სიცხე და მოაგარაკენი შინ ვერ ჩერდებოდნენ, ყველანი იქავ მოდებულ ნაძვნარში იმალებოდნენ თურმე.

მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ, თავისებური გურული გასართობია. სახელდობრ, ყოველ საღამოს ბურთაობა იმართება, რომელშიც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა – სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელსამე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვეოდა ქალი თუ კაცი. დიდ პატივშია ნარდისა თუ ქაღალდის თამაში.

სასეირნო და თვალის სასეირო ადგილები აქ ბევრია. გარშემო მდებარე მთები: ბაისურა, განდრეკილი, ფაფარა, საყორნია და მათი კალთები მშვენიერი სასეირნო ადგილებია. ბახვის წყალი, სადაც მხოლოდ კალმახები იცის, მშვენიერი საბანაოა. ცივი წყაროები ყოველ ნაბიჯზეა, მათ შორის ერთია შესანიშნავი „გურიელის საცივი“ (საცივს გურიაში წყაროს ეძახიან), ბახმაროს ჩრდილოეთით, მაღლობზე ამ წყაროს წყალს ოთხი გრადუსი აქვს სითბო. როგორც აქაურები მოგვითხრობენ, ადრე გურიის მთავარი სანადიროდ სოფელ ასკანიდან (ოცი ვერსია ბახმაროდან) რომ გამოვიდოდა, სადილობისას ამ ადგილას აატანდა და სადილს ამ წყაროსთან მიირთმევდა, სახელიც აქედან დაერქვა ამ საცივსო.

ექიმი ბახმაროზე არ არის, ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბებია იყო და ერთიც ფერშალი. ბებიას, რა თქმა უნდა, პრაქტიკა ნაკლებად ჰქონდა, ხოლო ფერშალი კი ქინაქინას ბევრს ასაღებდა. იმიტომ, რომ ჩუმი ციება ვისაც კი აქვს ტანში, აქ რომ ამოვა, უსათუოდ უნდა გამოაჩნდეს. როცა ბახმარო გაიზრდება, შესაფერისი გზა გაუკეთდება, აქ ამოსვლას შემთხვევითი ხასიათი არ ექნება, მაშინ, უეჭველია, თავისი ექიმიც გაუჩნდება, რაც მოაგარაკეთათვის აუცილებლად საჭიროა. ამბობენ, აზრადა აქვთ ბათომის ლაზარეთიც, სადაც ციებიანი ბევრია, ზაფხულობით აქ ამოიტანონ ხოლმეო.

ბახმაროზე ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი უწიგნსაცავობაა, გაზეთები ბევრსა აქვს გამოწერილი, მაგრამ საქმეს მათი მიღება აჭირებს. მეტად უწესრიგოდ ამოაქვთ ხოლმე, შარშან მანდილოსნებმა ითავეს, ეს ნაკლი ბახმაროს შემდეგისათვის მაინც ააცილონ თავიდან და მომავალ წიგნსაცავის სასარგებლოდ ხელისმოწერით ფულიც კი შეჰკრიბეს. ჰფიქრობენ, სოფელ ასკანის წიგნსაცავის ჟურნალ-გაზეთები ზაფხულობით ბახმაროში დაიბარონ და ამისთვის საკუთარი კაციც დაიჭირონ.

ისე მოჰაერეთა გარდა, აქ ამოდის მაზრის უფროსი, თან მოსდევს ერთ-ერთი ბოქაული, რომელიც წესრიგსა იცავს. შიში ფირალებისა სრულებით არ არის, თუმცა ბახმაროს გარშემო ტყე და ტიალები აკრავს, ოცი კილომეტრის სიახლოვეს სოფელი არ არის. ყველანი უდარდელადა ცხოვრობენ, ჯერ მაინც მაგალითი არა ყოფილა, რომ ვინმე გაეძარცვათ. ზამთრობით კი ცარიელდება აქაურობა, ძე-ხორციელი არა დგება, სახლები უპატრონოდ რჩება, ამ უპატრონოდ დაგდებულ სახლებს, მეჯოგენი რაზა-კოჭებს აცლიან, თუ ადრეული ზამთარია, თავის კარვებს თავს ანებებენ და სწორედ იმ ოთახებში, სადაც ერთი თვის წინათ განცხრომით ვცხოვრობდით, საქონელს აყენებენ...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თედო სახოკია

ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ჯავშნოსანი ეპიპაქის საარაკო გმირობა

პატიოსანი და ვაჟკაცი ადამიანი როგორც ცხოვრება მოითხოვს. ომია – იბრძვის, მშვიდობაა – შრომობს. ყველთვის მობილიზებული და ორგანიზებულია. ამავე დროს ბუნებით საოცრად კეთილი და გულისხმიერი.

ვინ ვართ ქართველები, როგორ ვცხოვრობდით, რას ვაკეთებდით, რას ვქმნიდით (კარგსაც და, სამწუხაროდ, ცუდსაც), როგორ ვიბრძოდით და როგორ ვშრომობდით, როგორ მოვაღწიეთ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ თავს გვეხვია (და გვახვევია დღესაც) ურიცხვი მტერი. რა ძალამ გააძლებინა ერთ მუჭა ხალხს მსოფლიო ტრაგიკულ ქარტეხილებში, რომლებმაც მსოფლიო ცივილიზაციის სწორუპოვარი ნიმუშები წალეკეს, გაქრნენ ხალხები, პირისაგან მიწისა აღიგავა ერთ დროს სახელგანთქმული და ვრცელი სახელმწიფოები?! პასუხი თითქოს ყველამ ვიცით, ქართველი კაცის საოცარმა ძალამ და ნიჭმა, ბრძოლისა და შრომის უნარმა, რაც მთავარია – ღვთის რწმენამ.

– როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში, რომ არ გაქრეს ქართველთა სახსენებელი, ჩვენი ქვეყანა – საქართველო, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა შეინარჩუნეს და ჩვენ გადმოგვცეს? – ეს კითხვები ყველა ქართველს აწუხებს.

ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცის პორფილე გორგოშიძეს ცხოვრება გარკვეული თვალსაზრისით სანიმუშო გახდა ყველასთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1918 წლის მოვლენები, თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა თავგანწირულ ბრძოლას ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ხელმძღვანელობით. სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი და რომ არა გოგუაძისა და მისი თანამებრძოლების საარაკო გმირობა, ჩვენს სამშობლოს დაღუპვა ელოდა. ამ ბრძოლის გამორჩეული მონაწილე გახლდათ პორფილე გორგოშიძე.

თავის საბრძოლო წარსულს ის არ მალავდა და არც თავი მოჰქონდა ამით, რადგან ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, პოლიტიკა არ აინტერესებდა (საკვირველი ამბავია ქართველისთვის და განსაკუთრებით გურულისთვის), შეიძლება ეს გარკვეული სიფრთხილის მაჩვენებელია. მაშინ, ღიად ვერავინ დაწერდა საკუთარი და საზოგადო პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, თუ თავად არ იყო დაკავებული პოლიტიკური საქმიანობით. პორფილე თავდაუზოგავად შრომობდა და პატიოსნებით იყო განთქმული.

პორფილე გორგოშიძე დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ისიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. რუსეთ-თურქეთის ფრონტზე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ორგზის დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით, რაც, იმდროინელი შეფასებით, გმირობის ტოლფასი იყო.

განსაკუთრებით დრამატული იყო 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჯარში სამსახური. მთელი რუსეთის იმპერია ქაოსმა მოიცვა, მძვინვარებს სამოქალაქო ომი, ბოლშევიკების აგიტაციის შედეგად რუსეთის ჯარმა დატოვა თურქეთის ფრონტი და საქართველო, ფაქტობრივად, უიარაღოდ და ჯარის გარეშე, პირისპირ დარჩა თურქეთის წინააღმდეგ. პატრიოტებმა დაიწყეს მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა დაპირისპირებოდა თურქეთის რეგულარულ არმიას. **ამ დროს, ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მცირერიცხოვანმა რაზმმა (სულ 80-მდე მებრძოლი) ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით საარაკო გმირობა გამოიჩინა, გაანადგურა თურქეთის სახელგანთქმული გალიპოლის დივიზია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადაარჩინა საქართველო.** სწორედ ამ ჯავშნოსანი



მატარებლის მებრძოლი იყო პორფილე და მასთან ერთად მისი უმცროსი ძმა – ალექსანდრე. ამ ბრძოლებში პორფილე მძიმედ დაიჭრა, ძლიერ დაუზიანდა მარცხენა ფეხი და მარჯვენა ხელი.

თითქოს პატარა ამბავი მოხდა – 25 კაციანმა რაზმმა გაანთავისუფლა თურქების ქვეითი ჯარით გარშემორტყმული ყარალაშვილის შტაბი – რაია მერე, ამფერი ამბავი უცხო ხილი სულ არაა გურული კაზახიზა. პორფილე ჯავშნოსნის უფროსის **მაგიერი**, ანუ მისი მოადგილეა. სხვა ეპიზოდებშიც ჩანს, რომ ის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და მისი გადასაწყვეტია ჯავშნოსანთან და მებრძოლებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, თუმცა ოდნავადაც არ ამახვილებს ყურადღებას საკუთარ როლსა და მნიშვნელობაზე.

გმირი ჯავშნოსანი

ახლა თურქეთი მოდის ბათუმზე და ბარცხანიდგან ვუწევთ წინააღმდეგობას, მაგრამ მალე ვტოვებთ და მივდივართ, გაზაფხულდა, 1918 წელია მარტის შუა რიცხვები, ყარაიაზის მიდამოებში დაგვიძახეს:

– მდინარე ჩოლოქს იქით, მდინარე ოჩხამურის ხიდეში ჩავარდნილია ნომერ პირველი ჯავშნიანი, უშველეთ.

6 საათის სირბინით ჩავედით, დღის 11 საათია, მივედით და იმარჯვიან ამოსაღებათ. მხოლოდ პარაოზია ჩაწეული, ლიანდაგი გაუფუჭებიათ, გავშალეთ ხაზში და წავედით წინ სამი კილომეტრით. და კიდევ მივდივართ, რომ მივცეთ საშვალება პარაოზის ამოღების, მარა ამ დროს შევამჩნიეთ ქობულეთიდგან აქეთ დაახლოებით 1 კ. ცხენოსანი ჯარი, რაც შეიძლება სიჩქარით მოდიან და ჩავესაფრეთ. მარჯვნივ და მარცხნივ, ვართ 60 კაცი.

– ბიჭებო ხომ ატყობთ, დაზვერვაზე მოდიან, ხიდემდის წყნარად იყავით, ჩამოუშვათ უნდა და როდესაც საკმარისი იქნება და მერმედ ჩვენია, გასაქანი არ ექნებათ და დამაყურეთ, ვერაფერს ვერ შეგვამჩნევენ.

მალექცევით უკან დარჩენილია კიდევ ნახევარი კილომეტრი, ამ დროს ერთ დურაქს გაუვარდა თოფი, თუ განგებ გაისროლა, რას იზამ. მოუსვეს უკან, დავაყარეთ ზალპი და რა ვიცი, ცხენიდან ბევრი გადმოვარდა და ამან კი:

– მომკალით, განგებ არ მიქნიაო.

ახლა ღამდება, პარაოზიც ამოღებულია და მივდივართ ნატანებისაკენ. ჩოლიქის პირზე არ ვართ გადმოსული და ქობულეთში აქედან ჩვენც შევებით სროლაში და მალე ჩაწყნარდნენ. პირველი ჯავშნიანი წავიდა თბილისისაკენ, რამდენიმე დღეები დავრჩით აქ. დაზვერვას ვაკეთებთ მდინარე ჩოლოქამდის, ჩოლოქს გაღმიდან დიდძალი შეშა არის, ლიანდაგის გასწვრივ, დაგროვილია ორთავე მხარეს.

ახლა ღამდება, ვდგევართ სამტრედიაში. პარაოზი კი გასარეცხად რკინიგზის სახელოსნოშია. ჯავშნოსანზე შტატის 72 კაცია, მეხანიკი გაგნიძეა, მოადგილე ჭელიძე, მატარებლის უფროსმა და რამდენიმე ბიჭმა, ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებლებმა, 22-მა მეომარმა, ისევე ფერშალმა ხუხუნაშვილმა, მოითხოვეს:

– სახლში მივირბენთ ამეღამ და დილას თქვენ ჩამოიარეთ და ჩვენ ლანჩხუთში დაგხვდებით.

პორფილე გორგოშიძე

1918 წელია, 17 აპრილი შაფათი, დაღამდა. სხვათაშორის რუსი სპეციალისტი, რომელმაც წინ ზარბაზნის კრუგთან მოაწყო სწრაფად გასაჩერებელი ვესტინგაუზი (რუსულათ), ესეც წასულია სამტრედიაში, მალე მოვალო. ღამის 12 საათია. იძახიან მილიციის შენობაში, საჩქაროდ თხოულობენ ჯავშნოსანის უფროსს. იძახის მთავარი შტაბი:

– აბა, მისი მაგიერი.

– რას გვიბრძანებთ?

– მომისმინეთ, მდგომარეობა ასეთია: ოზურგეთი თურქეთის მიერ დაკავებულია და ნასაკირალის გორებზე დასავლეთიდგან აღმოსავლეთის გასწვრივ გამაგრებულნი არიან, რომლებსაც გადმოუარიათ აჭარა, გორი, ტალახადგან და შემდეგ სოფელი ლიახურიდგან და შემდეგ 5 საათამდე თურქი გამაგრებულია მდინარე ჩოლოქის ხიდის გაღმიდან. გენერალი მაზნიაშვილი ნატანებში დაგხვდებათ, რომელსაც ყავს 40 ჯარისკაცი გორელი და კახელი. მდინარეს გადმოღმიდან თხრილებში.

ჯავშნოშნების უფროსი წამოსულია. ჯავშნიანიც გახაზირდა და გადმოიარა. მილიციის უფროსმა – „სამი კაცი მყავსო, ერთი თქვენთან წამოვაო“. აღარ წამოსულა. ჩვენ კი ნავედით საჩქაროთ. სუფსაში რომ ჩავედით, შევჩერდით. ორი ცალი პურის ფქვილი გვაქვს ვაგონ ჩიზგისში და გამოვიტანეთ ერთი, დავუძახეთ აფხაზავას, მაგი მეფურნეა.

– ეს ერთი გამოგვიცხვე, როდესაც დავბრუნდებით, დაგვჭირდება. ჩვენი საცხოვრებელი ვაგონები აქ რჩება.

გოგვაძეც ჩამოვიდა, ცოტა თათბირი და გაუდექით. ნატანებში დაგხვდა გენერალი მაზნიაშვილი, მიუახლოვდით ხიდეს, დილა-ბინდია, მარჯვენა მხარეს მაქვს გადმოღებული ზარბაზნის კრუგის ერთი კარი და ვიმზირები. აკოპიდგან ჩვენებმა რომ დაგვინახეს დაბალი „ურაა“ დაგვიძახეს – ს.ს.ს. და ხმა აკოპებში ჩაწყნარდა. ხიდეზე. გავხედე მარცხენა მხარეს თურქების თავები ზღვასავით ღელავს. ისევე მარჯვენა მხარეს, რაც შეშები და ხიდები იყო ერმილე ნაკაშიძის მიერ კარიერზე მოტანილი, ყველა მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაუკეთებიათ სიმაგრეებათ. ჩვენი მიზანია წასვლა მაქამდე, სანამ დამთავრდებოდეს სიმაგრეები და შემდეგ გავხსნათ ცეცხლი, ჯავშნიანის მოძრაობაში ვიბრძოლოთ, ჯერ კიდევ დილის სიბნელეა და ნელ-ნელა მივდივართ წინ. უცბათ წინა პირველი და მეორე გოგორაც და სწრაფად დავკარი ხელი ვესტინგაუსს და ცნობა მეხანიკს: წინა ორი გოგორა შპალებზე დაესო და ამავე დროს კოხივით ასტეხეს სროლა ყოველი მხრიდგან და იმ წამსვე ამუშავდა ჩვენგანაც სამი ზარბაზანი. პირდაპირ ვაყრით თავზე. 14 ტყვიამფრქვევი **მაქსიმა**, მაქსიმა ცელავს, წინა ჯავშნიანზე მეტი იერიშია მოტანილი. ასე მიდის ადუღებული სროლა. დღის პირველი საათია, რომ აწყდა ზარბაზანი, ამავე წამში ვხურავ ზარბაზნის კრუგის კარებს, რომ მომხვდა მარჯვენა ხელის გულში რაზრივნოი ტყვია და დაგლიჯა. სროლა კლებულობს, ტყვია ბეური მოცივა შითაც, ღია უჯრედებიდან, ტყვიამფრქვევის ფარებიდგან როცა მუშაობს მოთესვით, დახვრიტა ტყვიამ, კავშირის მავთულები დაწყვეტილია. გოგუაძე პარაოზშია. ტყვიამფრქვევის პირველი ნომრები დაწყვეტილია, პირში და შუბლში აქვენ ტყვია. ხელი და ბარკალი დაფშვნილი მაქვს. ამავე დროს 120 ბომბიან იაშიკს ვხსნი, რომლებსაც შეუძლია ვაწოდებ და სროლილობენ გარეთ, ძმაი ჩემი სამ ადგილზე დაიჭრა, მკვდრები არიან ბოლქვაძე, რომელსაც ვუთხარი სუფსაში:

– პოლნი კავალერია გერმანიის ფრონტიდგან მიდიხარ და ჩვენთან წამოსვლას ვერ დაგაძალებთ.

– მე თქვენთან ყოფნა მინდაო.

მკვდრები არიან ცეცხლაძე, გოგუაძე, გორდელაძე და სულ წინა ჯავშნიანში 7 კაცი მკვდარია, 12 დაიჭრა, 6 დაუჭრელია. უკანა ჯავშნიანს დიდათ ზიანი არ მოსვლია, მსუბუქად დაჭრილია 6 კაცი.

დღის 2 საათი იქნება, შეწყნარდა სროლა და ამბავის გასაგებად გადმოვიარე საწყობ ვაგონთან და გავხედე ვაგონს, ქვეშ და მის გარშემო – მკვდრების გვამების გორებია დადგმული. მდინარე ჩოლოქზე გადმოვიდნენ ჩვენებიც აკოპებიდგან. პარაოსთან მივედი, მეხანიკ გაგნოძეს მკლავი მოტეხილი აქვს. მისი ადგილი ჭელიძეს უჭირავს, ჩვენი მდგომარეობა გადავეცი და გამოვბრუნდი ჩემს ადგილზე, თოფის ხმა არსად არ ეყურება. ქრისტიფორე ლომჯარია, ბ. სალუქვაძე, ა. ცეცხლაძე, ბ. ცეცხლაძე და სხვა. ტყვია არ გაკარებიათ, ასკოლკებით დაჩარჩმული არიან. ამავე დროს მოვიდა სანიტარული ერთი ვაგონი პარაოზით, თურქეთმა მოთხოვა პერემირი. დაჭრილები გადავედით სანიტარულში, ამასთან ერთად მოვიდა მუშა ვაგონი და დანკრატები. დაჭრილები წამოგვიყვანეს ნატანებში, მოგვათავსეს სადგურის უკან შენობაში ღამის პირველ საათამდის და შემდეგ გადაგვიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში.

სოფელ ნატანებში შეიარაღებული პატრონტაჟებით ბრძოლის მოწინავე ხაზზე გასვლა, დიდ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. ამ ფაქტით, ბოლშევიკთა ტყუილზე დაფუძნებულ პროპაგანდას ნიღაბი ჩამოეხსნა. ჩოლოქის ბრძოლის მთავარმა გმირმა ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის ეკიპაჟის მეთაურმა ვალოდია გოგუაძემ საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. საბედისწერო დროს, ჯავშნოსანის ეკიპაჟის უმაგალითო რისკზე წასვლამ, დაგვანახა თუ როგორი გმირობის ჩადენა შეუძლია ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ მცირერიცხოვან ქართველობას. ჯავშნოსანი მატარებლის ეკიპაჟის საბრძოლო ოპერაციები საქართველოს საზღვრისპირა ზოლის გამაგრებასთან ერთად, ხელისუფლების სიძლიერეს წარმოაჩენდა.

მოამზადა ***ლელა სურმავამ***

გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები

ოჯახებისა და გვარების წარმოშობის, მემკვიდრეობისა და ნათესაური კავშირების სისტემატური კვლევა დამხმარე ისტორიული მეცნიერების – გენეალოგიის საგანია. გენეალოგიურ კვლევას საფუძველი ძველ სამყაროში ჩაეყარა, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეებში, ფეოდალიზმის ეპოქაში განვითარდა, – იქმნებოდა დინასტიების, არისტოკრატული გვარებისა და ოჯახების გენეალოგიური ხეები, ტაბულები, საგვარეულო სიები. საქართველოს ისტორიისათვის გენეალოგიური კვლევის საქმეში მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას დამსახურება. XX საუკუნეში გენეალოგიურ კვლევა-ძიებას წარმატებით აწარმოებდნენ ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სარგის კაკაბაძე, ოლღა სოსელია და სხვანი.

გურიის სამთავროს ფეოდალური არისტოკრატია

ქვეყნის სათავეში იდგა მთავარი – **გურიელი,** „ხელმწიფის“, „ხელმწიფე გურიელის“ ტიტულით. ფეოდალური იერარქიის მომდევნო მაღალ საფეხურზე იდგნენ მემამულეები – **თავადები**. თავადებს ქვემოთ – **საპატიო კაცები** ანუ უაზნაურო თავადები. გურიის ფეოდალთა ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ სახელმწიფო (სამთავრო, „ტახტის“), საეკლესიო და სათავადო აზნაურები. თავადები და აზნაურები ქვეყნის დამცველ, მხედრულ ფენას წარმოადგენდენ...

თავადები

გურიელები

1. პოდპორუჩიკი მალაქია ქაიხოსროს ძე
მეუღლე მისი თამარი,
მათი ვაჟიშვილები: ქაიხოსრო კონსტანტინე
მალაქიას ძმა, პორუჩიკი დიმიტრი.

2. პორუჩიკი გიორგი ლევანის ძე
მეუღლე მისი ნინო,
მათი ვაჟიშვილები: ალექსანდრე მიხეილი,
ქალიშვილები: სოფიო, ბაბილინა, ემელიანა.

3. პოდპორუჩიკი დავით ვახტანგის ძე
მეუღლე მისი ეკატერინე,
მათი ვაჟიშვილები: მამია, ამბაკო, ილია, ორბელი, ვახტანგი,
ქალიშვილები: ივდითი, სოფიო.

4. გიორგი დავითის ძე
მეუღლე მისი მაკო,
მათი ვაჟიშვილები: დავითი, ალექსანდრე,
ქალიშვილი მართა,
გიორგის ძმები: პოდპორუჩიკი გრიგოლ დავითის ძე,
პოდპორუჩიკი ლევან დავითის ძე.

გუგუნავები

5. პოდპორუჩიკი დავით სიმონის ძე
მეუღლე მისი ელისაბედი,
მათი ვაჟიშვილი სიმონი,
დავითის ძმა სეფედავლე,
მეუღლე მისი ნინო,
მათი ქალიშვილი გულჩინა.

6. მანუჩარ ბერის ძე
მეუღლე მისი მართა,
მათი ვაჟიშვილები: ბეჟანი, კონსტანტინე, სიმონი, ალექსანდრე,
ქალიშვილები: ფოტინე, დოდო, ატატო,
მანუჩარის ძმა ვარსანი,
მეუღლე მისი მზეხა,
მათი ვაჟიშვილი მამუკა.

7. ალექსანდრეს ქვრივი ელისაბედი
მისი ვაჟიშვილი მიხეილი,
ბეჟანის ქვრივი მაკა,
მისი ქალიშვილები: დომნა, ნატალია.

8. გიორგი ჩითანის ძე.

მაჭუტაძეები

9. პოდპოლკოვნიკი დავით ივანეს ძე
მეუღლე მისი დარეჯანი,
მათი ვაჟიშვილები: პოდპორუჩიკი ალექსანდრე, პრაპორშჩიკი გიორგი,
ქალიშვილები: სოფიო, სელინოზა, მართა,
ალექსანდრეს მეუღლე ფედოსია,
მათი ვაჟიშვილები: მელქისედეკი, სიმონი,
ქალიშვილები: ბებუსი, ელისაბედი, ეკა, კომატლუკა, ნატალია,
გიორგის მეუღლე მინიკა.

10. გიორგი ნალმანის ძე
მეუღლე მისი სოფიო,
მისი ძმა ბერი.

მაქსიმენიშვილები

11. პრაპორშჩიკი დავით გიორგის ძე
მისი ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი ვახტანგი, პრაპორშჩიკი გიტო,
ქალიშვილები: დოდო, სალომე, ბარბალე, ატატო,
ვახტანგის მეუღლე ანა,
მათი ვაჟიშვილი სეილანი.

12. ქაიხოსრო მაქსიმეს ძე
მისი ძმა ნიკოლოზი, მეუღლე მისი სოფიო,
მათი ვაჟიშვილი დავითი, ქალიშვილი ელენიკა,
გიორგის ქვრივი მზეხა, ვაჟიშვილები: სამუელი, მაქსიმენი,
ქალიშვილები: ელისაბედი, ეკა, მართა, ნინო.

13. მიხეილ ლევანის ძე.

ნაკაშიძეები

14. პორუჩიკი ლევან კაციას ძე
მისი ძმა პორუჩიკი ანტონი,
მეუღლე მისი ელისაბედი,
მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი, კაცია, ნიკოლოზი,
ქალიშვილები: ეფემია, ოლღა,
გიორგი კაციას ძის ქვრივი თამარი,
მისი ვაჟიშვილები: პრაპორშჩიკი დიმიტრი, ესტატე, თედორე, პეტრე,
ქალიშვილები: თეოდოსია, სოფიო, მაკა, ქეთევანი, ივლიტა, ტასია, ნატალია, ეკატერინე,
დავით კაციას ძის ქვრივი ელისაბედი,
მისი ვაჟიშვილები: მიხეილი, ალექსანდრე, გიორგი,
ქალიშვილები: ნინო, მარინე,
ოსეებ კაციას ძის ქვრივი ნინო,
მისი ქალიშვილი დესპინე.

15. ვახტანგ ბეჟანის ძე
მეუღლე მისი როდამი, ვაჟიშვილები: ბეჟანი, გიორგი,
ქალიშვილი მინატრა.

16. პრაპორშჩიკი კონსტანტინე ბეჟანის ძე
მეუღლე მისი ლისა, ვაჟიშვილი გლახუა, ქალიშვილი ნადეჟდა.

17. პოდპორუჩიკი გიორგი როსტომის ძე
მისი ვაჟიშვილები: ივანე, იოსები, ილარიონი, გირგოლი.
ქალიშვილები: მართა, სოფიო, ევდუქსი.

18. **პოდპორუჩიკი ბახუტა როსტომის ძე**
მეუღლე მისი ატატო, მათი ვაჟიშვილი გიგო,
ქალიშვილები: რუსუდანი, ნინო, ელისაბედი, ეკა, ესმა, მაკა.
19. **დავით ლაზარეს ძე**
მისი ძმა ანტონი.
20. **საყვარელ ივანეს ძე**
მეუღლე მისი ეფემია,
მათი ვაჟიშვილი გიორგი,
ქალიშვილი მელანია.
21. **ალექსანდრე მამუკას ძე**
მეუღლე მისი ნინო,
მათი ვაჟიშვილები: მიხეილი, ივანე, ალექსანდრეს ძე ლევანი,
მეუღლე მისი თეოდოსია.
22. **პრაპორშჩიკი გიტურ ლაზარეს ძე**
მეუღლე მისი ფეფინა, ვაჟიშვილები: ალექსანდრე, ივანე,
ქალიშვილი მაკა.
23. **პრაპორშჩიკი გიგო თანდარუხის ძე**
მეუღლე მისი ფიდახანა, მათი ვაჟიშვილი იოსები.
24. **კაცია მამუკას ძე.**

თავდგირიძეები

25. **პოდპორუჩიკი ალექსანდრე მამუკას ძე**
მეუღლე მისი სოფიო, ვაჟიშვილი მითაგი, ქალიშვილი მარგარიტა.
26. **გიორგი მამუკას ძის ქალიშვილები:**
მზეხა, ატატო, ელისაბედი.
27. **პრაპორშჩიკი ფრიდონ მამუკას ძე**
მეუღლე მისი თათია.
28. **პრაპორშჩიკი ყარამან მიზარბეგის ძე**
მეუღლე მისი მარიამი, ყარამანის ძმები: გიორგი, ფოკა.
და ანა.
29. **სოლომონ მამუკას ძის ქვრივი მზეხა**
მისი ვაჟიშვილები: ქიშვარდი, ლევანი, ავთანდილი,
ქალიშვილი აღათი.
30. **ბეჟან როსტომის ძის ქვრივი აღათი**
მისი ვაჟიშვილი როსტომი, ქალიშვილი ელისაბედი,
ბეჟანის ძმის, გიორგი როსტომის ძის ქვრივი დოდო,
მისი ვაჟიშვილი ბესო.

ერისთავები

31. **პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე**
მეუღლე მისი მარიამი, მათი ვაჟიშვილები: ივლიანე, დავითი,
ალექსანდრე, თომა, გიგო,
ქალიშვილები: ნინაზა, ელისაბედი, სოფიო, მართა, ათინა.
32. **პორუჩიკი ლომინ დავითის ძე**
მეუღლე მისი ელენე.
33. **პოდპორუჩიკი დიმიტრი ვახტანგის ძე**
მეუღლე მისი სოფიო, მათი ვაჟიშვილი ქაიხოსრო, ქალიშვილი კეკელა,
დიმიტრის ძმები: პრაპორშჩიკი როსტომი, პრაპორშჩიკი კონსტანტინე,
დები: თათია, ეფემია, ეკა, ნინო, მაკა, როსტომის მეუღლე მახუა,
მათი ვაჟიშვილი ივანე.
34. **პოდპორუჩიკი ზურაბ დავითის ძე**
მეუღლე მისი ქეთევანი.
35. **პრაპორშჩიკი მიხეილ ქაიხოსროს ძე**
მეუღლე მისი მაია, ვაჟიშვილები: დავითი, იასონი, შალვა.
ქალიშვილები: დავარი, ელეონორა, მიხეილის დები: მაკა, მართა, ნინო.
36. **პრაპორშჩიკი გიორგი სიმონის ძე**
მისი ვაჟი ლევანი, ქალიშვილები: ფოტინე, ელისაბედი, ნინო,
გიორგის დები: სოფიო, კესარია. მაკა, მინიკა.
37. **კოლეგიის რეგისტრატორი დავით გრიგოლის ძე**
მეუღლე მისი ჯაჯიკა, მათი ვაჟიშვილები: სოლომინი, პლატონი, გრიგოლი.
ქალიშვილები: ფეოდოსია, ელისაბედი.
38. **ნიკოლოზ გრიგოლის ძე**
მეუღლე მისი ეკატერინე, მათი ვაჟიშვილები: გრიგოლი, კონსტანტინე.
39. **პრაპორშჩიკი ანტონ გრიგოლის ძე**
40. **სიკო დავითის ძე**
მეუღლე მისი ანა.

ქველი ჩხატარაიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზურაბ ჭუმბურიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფაქტი ჯიუტია!.. უცხოურმა ბრენდებმა გაიმარჯვა

27 მარტს სასტუმრო ***ჰოლიდეიინში*** საზოგადოებრივი ორგანიზაციის **KAR.GE** დამფუძნებელმა ტარიელ ზივზივაძემ ქართული და უცხოური წვენების ბრმა დეგუსტაცია გამართა. 6 არომატის 8 ბრენდის 29 დასახელების წვენები ორმოცდაათამდე მონაწილემ შევაფასეთ. ღონისძიებას ესწრებოდნენ ჟურნალისტები და ექსპერტები. ***სანდორას, კამპას, რაუხის, ჩვენის, სანტალის, სადაჩოკის, ბრავოს, მაია სემიას*** – დეგუსტაცია რვა რაუნდად ჩატარდა. ყველა ჭიქა კოდირებული იყო, თითოეულ რაუნდზე გადმოგვცეს კითხვარები, პარალელურ რეჟიმში, კომპიუტერული პროგრამით შეაჯამეს. დეგუსტაციის პროცესი დინამიურად და საინტერესოდ წარიმართა... ატმის, ალუბლის, ვაშლის, ფორთოხლის და ბროწეულის წვენების შემდეგ ბოლო სამი რაუნდი ატმის, მულტიფრუქტის და ფორთოხლის ნექტარს დაეთმო. დეგუსტაციაში მოზარდებიც მონაწილეობდნენ, – ათამდე ვითვლით, გემოვნება გვაქვს, ჩვენც გვსურს, ვიცოდეთ, თუ რომელი წვენი მივირთვათ, – თამამად მიპასუხეს.

ტარიელ ზივზივაძე

– **რატომ ვყიდულობთ უცხოურს და არა ქართულს?** – ტარიელ ზივზივაძისთვის რიტორიკული კითხვაა, ხოლო პასუხს ბრმა დეგუსტაციის პროექტში მოიაზრებს...

– მოძრაობა **KAR.GE** მიზანია, ქართული ხარისხიანი ნაწარმის ცნობადობის, გაყიდვის და ექსპორტის გაზრდა. ღონისძიების თანაორგანიზატორები არიან ჰიპერმარკეტი ***გუდვილი*** და საქართველოს კულინართა ფედერაცია. გვსურს, დაინტერესებულმა საზოგადოებამ, ბრმა დეგუსტაციის მეთოდით, გასინჯოს და ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა ქართული და უცხოური ბრენდის წვენები, ყველას თვალწინ გამოვავლენთ გამარჯვებულს. ამ ტიპის დეგუსტაციას უკვე მეორედ ვატარებთ, კვლევამ გვიჩვენა, – ***ქართული ბაზრის 80% იმპორტირებულ პროდუქციას უკავია***. ადგილობრივ მწარმოებლებს შევთავაზეთ, მსგავს პროექტში აქტიურად ჩაერთონ, როგორც ხედავთ, არ მოვიდნენ. იმედია, მესამე შეხვედრაზე შემოგვიერთდებიან. ***ყველას მოვუწოდებთ, ვიყიდოთ მხოლოდ ქართული!..***

ქართული და უცხოური წვენების ორგანოლეპტიკური დეგუსტაცია და შედეგების გამოცხადება დასრულდა. ფაქტი ჯიუტია!.. ორმოცდაათამდე მონაწილემ უპირატესობა მივანიჭეთ უცხოურ ბრენდებს, პროექტში ***სანდორამ და სანდალმა გაიმარჯვა.***

ლელა სურმავა

კაცურკაცობის რეკავს ზარები!..


ბიჭიკო ასკურავა

ბიჭიკო ასკურავას

კაცურკაცობის მხოლოდ მაშინ რეკავს ზარები
ქველმოქმედებას თუა იგი ნაზიარები,
სასიქადულო ხომ ბევრია ქვეყნად გვარები –
გაითავისეს სხვისი ჭირი და იარები.
ამ პლეადაში შენც ბრწყინვალებ, ვით სხივი მზისა,
ასკურავათა ღირსეული გამგრძობი გზისა,
სიკეთის მთესველს, როს დადგება ჟამი განსჯისა
არ მოგაკლდება შემწეობა და მადლი ღვთისა.
მამა-პაპათა ხელოვნებას შეასხი ხორცი,
შთაბერე სული, ჭეშმარიტად ჰყავ დასალოცი,
მთელდება ძვლები, დატეხილი, სწორდება „ბორცვი“
სასწაულია, საკვირველი და გასაოცი.
მამის, დავითის გავლებული ირჩიე კვალი,
სანთელ-საკმევლად დედის, ანას – გონების ძალი,
„ამოუხსნელი“ ამოხსენი: „რას ნიშნავს ძვალი“,
გულ-ხელ მართალმა მოიხადე მკურნალის ვალი.
რამდენ ავადმყოფს დაუბრუნე ჯანი, იერი,
რამდენმა იგრძნო მზრუნველობა გულისხმიერი,
რამდენი გახდა შენი გარჯით სვებედნიერი –
იმდენი დიდი, პატარა გყავს დღეს მადლიერი...
– ბ ი ჭ ი კ ო! – ლოცვად აღავლინა შენი სახელი,
ვინც საოცარი შენი საქმის არის მნახველი,
– მოემართოსო სიკეთის მქმნელს მუდამჟამს ხელი,
წმინდა გიორგი ფარავდესო, დრაკონთ მსახვრელი.
კეთილი ნების, სიჯანსაღის სანდო მსახური,
ჩინეთ-ისრაელ-ამერიკის მედსამსახური,
აკადემიის კარებს გიღებს მადლდანასხური,
აწ და მარადის ყოფილიყოს არდასახური.
ყოვლისშემძლეა უცილობლად მაღალი ღმერთი,
რომ მოწოდება არ გიბოძა მხოლოდ-ღა ერთი,
პროფესორობას ხომ სპორტული ყოფითაც ერთვი
და საქართველოს ველოსპორტის ხარ პრეზიდენტი.
ბავშვობიდანვე სპორტისათვის თავდადებული,
ბოლომდე დარჩი ქომაგი და მისი ერთგული,
თუ გახარებდა მაშინ სრბოლა შენ მოგებული,
დღეს, გულს გილაღებს სპორტსმენები გამარჯვებული.
უზენაესმა გულის სწორი როცა განდომა,
ზღაპრულ ფერიად მოგევლინა შენი მადონა,
არსთა გამრიგეს დაელოცოს მისი თანდგომა,
დაგბედებოდეთ ავი სულების გაცლა-განდგომა.
შენი ქველობა ფიანდაზად შვილებს ეფინოს,
ვაჟკაც ირაკლის და ვარდივით ტურფა ქეთინოს,
ვედრება შენი მშობლიური უფალს ესმინოს,
ჰყავდე მზრუნველად, გული არცერთს რომ არ ეტკინოს.
შვილიშვილების სიყვარულში თენდება ღამე,
დათო, ანუკა, ნიკა, ლადო – გულის სიამე,
მათი ტიტინით და ჭიკჭიკით დატკბი, იამე,
განგების ნებით, ცხრა მთას იქით მათგან სიავე.
ეთაყვანები რძალს – მარინას, მაიზერს – სიძეს,
მამაშვილური სიყვარულით გულში რომ გიდევს,
ცხოვრებისეულს უზიარებ ზნეობას, სიბრძნეს,
გადაეცემა შვილიშვილებს, რაც შენით იგრძვნეს!
ქვეყნად მოვლენის დღეს გილოცავთ – იყოს მზიანი,
ჟამთა ტრიალში ყოფილიყო ქუდბედიანი,
გეკეთებინოს კვლავაც საქმე ლაზათიანი,
მთლად საქართველო ამაყობდეს, განა ქვიანი.

თბილისი, 1 აგვისტო, 1996.

გაიოზ ჩხაიძე

ქ. ოდესა, ა.წ. გარდაცვლილი გურამ ჯოხაძე და ბიჭიკო ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიანი

შვილიშვილები: ანა, დავითი, ნიკოლოზი, ლადო

თბილისი, ლესელიძის ქ. №25/ტელ.: 2999694, 2987995, 577411911, დავით ასკურავა: 593550030

www. facebook.com/askuravahealer

ელენე ობრაზცოვა და ბიჭიკო ასკურავა

უკრაინა, ვინიცის ოლქი, ჰიტლერის ბუნკერის მუზეუმი, ვანო გრძელიშვილი და ბიჭიკო ასკურავა

ბიჭიკო, ირაკლი და დავით ასკურავები

ბიჭიკო და ირაკლი ასკურავები, როდიკო მეიშვილი, დათო სხირტლაძე

ანეკდოტები

☺ ☺ ☺

გურული იმერელ მეფესთან წავიდა საჩივლელად, საჯავახოში შემოაღამდა და დაიძინა, ცხენი დაეკარგა, ეძება, ეძება და ვერ იპოვა... მეფესთან ფეხით ჩავიდა, მეფემ მიიღო და ჰკითხა:

– **რა დაგემართა?**

– მეფეო, ცხენი დავკარგე.

– **შენ რას აკეთებდი?** – ჰკითხა მეფემ.

– მეძინა.

– **თუ გეძინა, დაკარგავდი, აბა რა იქნებოდა**.

– მე ეგონა, თქვენ გეღვიძათ, თორემ რა დამაძინებდა...

მეფეს გურულის პასუხი ისე მოეწონა, მსახურებს უბრძანა, – ***ცხენი უპოვეთო!..*** კიდევ ორი ცხენი აჩუქა. ასე დასაჩურებული გაისტუმრა საჩივლელად ჩასული გურული.

☺ ☺ ☺

გურულს ბავშვი შეეძინა. ახალშობილი მეზობელმა მოინახულა და უთხრა:

– აი ბაღანა პოლიტიკოსი გამუა.

– **კი მარა, საიდან შეატყვე?..**

– კისრამდე ჩაჯმულია და არაფერს იმჩნევს.

☺ ☺ ☺

გურულს ეკითხებიან:

– **სა მიდიხარ?**

– სასაფლაოზე.

– **ასე გვიან, ძამა?!**

– რავა, მიცვალებული წასული დამხვდება თუ?..

☺ ☺ ☺

მოსეს ჰკითხეს:

– **რაფერ არი შუშანა?**

– გინდა თხემლაი ჩაგიწვენია ლოგინში, გინდა შუშანა.

☺ ☺ ☺

– რომ მოვკვდები, ძვირფასო, ხომ იტირებ? – ეკითხება გურული ცოლს.

– რა თქმა უნდა, საყვარელო, – ამშვიდებს ცოლი, – ხომ იცი, რა უბრალო რამეზეც ვტირი ხოლმე.

☺ ☺ ☺

ორი გურულის პოლიტიკური დიალოგი:

– ამ ჩვენ პარლამენტს ვეფერი ვერ გუვუგე, მარა რაცხა უმრავლესობა თუ უმცირესობაა, ამან თლა დამაბნია.

– ურემი იცი, შე აბდალა?

– კი.

– ჰოდა, მოდის აი ურემი და მოფუნა ხარმა.

– მერე?

– იი მოფუნულია პარლამენტი.

– მე უმცირესობაზე და უმრავლესობაზე გეუბნები.

– მომისმინე და ყოლიფერს გეიგებ. იმ ხარს უკან ურმის ბორბალი ხომ მოჰყვება? ჰოდა, იმ ბორბალმა გეიარა მოფუნულში, მარა ზუსტად შუაში ვერ გაყო.

– მერე?

– იი მხარე, უფრო ცოტა რომაა, უმცირესობაა, უფრო დიდი – უმრავლესობა.

☺ ☺ ☺

გურულს ეკითხებიენ:

– რა ღირს კარაქი?

– 18 მანეთი

– შე კაცო, მაგდენი ფულით გიტარას ვიყიდი!

– მერე პურზე გადუუსვამ ???...

☺ ☺ ☺

– ნატოია ცა! რამდენი ხანია სინდისი მაწუხებს და უნდა გითხრა!

შენთან რო ვწობი... ხანდახან სხვა ქალებზე ვფიქრობ!

– შენ მეისპე ზურია! შენ ამოწყდი!

მე აბა სხვასთან რომ ვიყო, მაინც შენზე ვფიქრობ!

☺ ☺ ☺

გურულს მეზობელი ეხვეწება:

– წამოდი ყანაში სათოხარზე მომეხმარე.

– რას გეტყვი ძამა იცი? ყანაში თოხნა კი არა – ცხონებულ მამაჩემს საფლავიდან ბატინკები მუუჩანს და იმიზა მეზარება მიწის მიყრა, დემეთხუე თუ კაცი ხარ.

☺ ☺ ☺

გურულს თბილისიდან გაუთხოვარი ცოლისდები ეწვივნენ. ცოლის თხოვნით ყველანი ურეკში წაიყვანა და მათი ბანაობისას იქვე პლაჟზე წამოწვა.

დასცხა გურულს და ქალების ჩანთებში წყალს დაუწყო ძებნა. ჩაჰყო ხელი ერთი ცოლისდის ჩანთაში და ამოჰყვა... ვიბრატორი. ჩაჰყო მეორის ჩანთაში და იქაც ვიბრატორი შერჩა ხელში. დაიწყო იქვე ვიბრატორები და წამოუწვა მზეზე.

– რას შვები, რას აკეთებო? – დაუძახა ამ დროს ერთმა ნაცნობმა.

– აფერს ძამა, აგერ ქვისლებთან ერთად ზაგარს ვღებულობ...

☺ ☺ ☺

– რავა ხარ ძამა, სად დაიკარგე?

ცოლი შევირთე.

– სიდოურია ძამა?

ნახევრად მეგრელი, ნახევრად გურული...

– მაი ძამა, ცოლი კი არა, სტიქიური უბედურებაა.

☺ ☺ ☺

გურული გარდაიცვალა და საიქიოში მოხვედრილმა სამოთხეში გამწესება მოითხოვა.

– კი ბატონო, მარა, ჯერ საიქიოს განაწესი უნდა შეასრულოო... დათანხმდა გურული.

მოკლედ დააბარინეს, დაათოხნინეს, გააწმენდინეს და დაახეხინეს ყველაფერი, დაარეცხინეს... ბოლოს სიქა გაცლილს, სამოთხე განაღდებული რომ ეგონა... უთო მიაჩეჩეს...

– აი რაია?.. მე მოვკტი თუ გავთხოვდი?!.. – იკივლა გურულმა...

☺ ☺ ☺

გურულების სუფრაზე შემოესწრებიან ქალაქელი სტუმრები, ერთ-ერთი მათგანი დიდი ღიპიანი კაცი იყო. თამადა მიმართავს ამ ღიპიანს:

– მოი ძამა, აი ყანწი გამომართვი და დალიე!..

– არა ბატონო, ვერ დავლევ, დიეტაზე ვარ, იმხელა ღიპი დამედო, რომ საკუთარ სასქესო ორგანოს ვეღარ ვხედავ...

– მოი ძამა, შენ ეს ყანწი დალიე და თუ ასე ძალიან გინდა დანახვა, ჩემსას განახებ...

☺ ☺ ☺

გურული ქორწილის პირველ ღამეს:

დედოფალი უყურებს, რომ საწოლზე ბალიში არ დევს:

– თავი რომელ მხარეს დავდო? – მორცხვად ეკითხება ქმარს.

– ცااა, ჩემი რაცხაა შუაში დადევი და თავი საცხა გინდა იქინე წეიღე...

შალვა ძნელაძე

ჩხიკვთა ქორწილი

ბახმარო


ბეიზაჟი

გურული გლეხი

ბეიზაჟი


საუბარი

ფიქრი

ნალია

ბაზრის ერთი კუთხე

გურული ქალი

ახალი წლის წინა ღამე


ნატურმორტი

ცეკვა ქართული

გამგზავრებაადგარაჯზე

ხევსურის სიკვდილი

პორტრეტი


ჩალანდარი

ლუარსაბი და დარეჯანი

რაზმელი

ჯანყი გურიაში

ყველა ბრუნდი და მართალი,
აულიათ იარალი,
შიშვლად აქვენ ხელში ხმალი,
ვისაც არ აქვს იარალი,
აულიათ თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებიან,
ამოვიღოთ გულის ჯავრი,
ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ,
აუდუღოთ სისხლის ღვარი,
ღმერთმა ისეთ დროს მოგვასწროს,
ამოგვეღოს მისი ჯავრი,
თხოვნას ღმერთი აგვისრულებს,
გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი.

ეგნატე ნინოშვილი

ჯანყი

შეთქმულება

შეთქმულება

თავდასხმა

გია ჯამბეხიძის საოჯახო მარანი



სოფ. ბოხაბეხექოული, მობ: 577 62 52 18

ჰრიმანჭული

შალვა ძნელაძემ პოლიფონიური მუსიკა სახვითი საშუალებით აამეტყველა, მომღერლების ბაგეებიდან, თითქოს, გვესმის მუსიკის ჰანგებში ჩაძირული გურული მოძახილები...